განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ივან ლებან, ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია.

წევრები:

ნანა იაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო;

ნინო ტალიაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;

ქეთევან აპატარშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო;

გიორგი მახარაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (დამსაქმებელი);

გიორგი ქურდიანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო (სტუდენტი);

თბილისი

12 მარტი 2019

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

შპს ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტი (შემდგომსი აბსუ) ბათუმში 2018 წელს დაარსდა. იგი მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის განხორციელებას არქიტექტურის, მშენებლობისა და სამართლის დარგში.

აბსუ კარგად არის პოზიციონირებული საქართველოს რეგიონში და მიზნად ისახავს საზოგადოებასთან კავშირების დამყარებას, ევროპული აკადემიური განათლების ტრადიციებისა და სტანდარტების გამოყენებით. ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული რეგიონში ბოლო დროის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ გამოცოცხლებასთან და შესაძლოა კარგად აისახოს საგანმანათლებლო სივრცეში.

ახლად დაარსებული აბსუ მიზნად ისახავს აკადემიური პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას და შემოქმედებითი აკადემიური პროცესების მუდმივ განვითარებას. იგი გეგმავს, ხელი შეუწყოს სტუდენტების პროფესიულ მომზადებას და ზრუნავს მათ კონკურენტუნარიანობაზე რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს, მჭიდრო კავშირში იყოს პოტენციური დამსაქმებლების მიზნებთან და მათ გამოცდილებებთან.

დაწესებულება აპირებს ხელი შეუწყოს ახალი ტექნოლოგიების კვლევასა და განვითარებას, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო დონის გაუმჯობესებას და სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას.

დასაწყისისთვის, აბსუ-ს ემსახურება 26 აკადემიური პერსონალი, რომელიც შეირჩა კონკურსის გზით, ამასთან, 18 მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. საერთაშორისო უნივერსიტეტი აბსუ გეგმავს 420 სტუდენტის მიღებას.

უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები შედგება 2 ფაკულტეტისგან - არქიტექტურის ფაკულტეტი, საინჟინრო და მოგვიანებით სამართლის ფაკულტეტი. საწყის ეტაპზე, სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას არქიტექტურისა და მშენებლობის დარგში.

ამჟამად, უნივერსიტეტის მიწის ნაკვეთი შეადგენს 6000მ^2, გარემონტებულ შენობაში განლაგებულია სამი სართული, რასაც ემატება სარდაფი. აღნიშნულ შენობაში ადრე ბანკი იყო განთავსებული, იგი ბეტონის სტრუქტურითაა აგებული. ვიზუალურად მისი სტრუქტურული მდგომარეობა კარგი ჩანს. შენობის სამ სართულზე განთავსებულია შვიდი სხვადასხვა ზომის საკლასო ოთახი. აბსუ გეგმავს თანამედროვე ინფრასტუქტურის დამკვიდრებას, სათანადოდ აღჭურვილი საკლასო ოთახებით, საკონფერენციო დარბაზებით, კომპიუტერული ცენტრით, ბიბლიოთეკით, ელექტრონული ბაზებით, რომლებიც მოიცავს წიგნსაცავს და საერთაშორისო სიებს, ასევე სტუდენტური კაფით და თანამედროვე, ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებული უნივერსიტეტის ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის საჭირო ყველა სათანადო ელემენტით.

აბსუ-ს სტატუსი იქნება საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი, კერძო, მოგებისთვის, „სასწავლო უნივერსიტეტი“. დასაწყისისთვის, სტუდენტების რაოდენობა

იქნება 420. ეს იქნება საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც სწავლების ენა იქნება ინგლისური. გათვალისწინებულია, რომ სასწავლო პერსონალს, სტუდენტებსა და სხვა სერვისების თანამშრომლებს ექნებათ ინგლისური ენის სრულყოფილი დონე.

უნივერსიტეტი პატარა და შესაბამისად,, ცენტრალიზებულია. უნივერსიტეტის მნიშნელოვანი პირები არიან: დამფუძნებელი, პარტნიორთა გენერალური ასამბლეა, აკადემიური საბჭო, გენერალური მდივანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამხმარე სერვისებთან ერთად. ამჟამად, უნივერსიტეტში არ არსებობს აკადემიური საბჭო და სხვა ერთეულები. უნივერსიტეტის ორი სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ბიბლიოთეკა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური. ჯერ არ არის განსაზღვრული სტუდენტთა ზუსტი როლი უნივერსიტეტის მმართველობასა თუ სხვა სფეროებში.

ექსპერტთა ჯგუფი გარკვეულ სირთულეებს წააწყდა ამ წინასწარი შეფასების დროს, რადგან ამჟამად აბსუ-ს არ ჰყავს სტუდენტები.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ბათუმში, აბსუ-ში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 22-24 იანვარს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა წინასწარ მოგვაწოდა ყველა დოკუმენტი, რადგან 2018 წლის დეკემბერში დაგეგმილი ვიზიტი ტექნიკური მიზეზების გამო გაუქმდა. 2018 წლის 28 დეკემბერს მივიღეთ შესწორებული შესწორებული თვითშეფასების ანგარიში, რომელსაც თან ახლდა შესწორებული დანართები: 39, 40, 41, 44, 68, 92, 95, 99). ადგილზე ვიზიტის დროს ჩვენ დამატებითი მონაცემებიც მოვიპოვეთ.

ეს ვიზიტი იყო აბსუ-ს პირველადი ავტორიზაციის პროცედურის ნაწილი (პირველადი ინსტიტუციური შეფასება), 3 სასწავლო პროგრამასთან ერთად, ესენია - 2 საბაკალავრო (არქიტექტურა, მშენებლობა) და 1 სამაგისტრო პროგრამა (არქიტექტურა) (სასწავლო პროგრამების შეფასებები).

ეს იყო უნივერსიტეტის სავარაუდო შეფასების მაგალითი, რადგან აკადემიური პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარე, კერძოდ სტუდენტები არ ჰყავს უნივერსიტეტს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე საოპერაციო საკითხი, ზოგიერ შემთხვევაში, მივიღეთ, პროგნოზების, ვარაუდების ან დაპირებების სახით. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება მოამზადა უსდ-ს არსებულ რესურსებზე და მოსალოდნელ შედეგებზე დაყრდნობით.

ვიზიტის დასასრულს, სამსახურების მმართველებსა და წარმომადგენლებს გავაცანით მთავარი მიგნებები.

სამადლობელი. ექსპერტთა ჯგუფს სურს გულწრფელი მადლობა გადაუხადოს აბსუ-ს ხელმძღვანელობასა და პერსონალს მასპინძლობისთვის, იმისთის, რომ მათ შესანიშნავად უზრუნველვყვეს ლოჯისტიკური საკითხების მოგვარება და ამგვარად, მოგვცეს შესაძლებლობა, გვემუშავა სასიამოვნო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მადლობას უხდის ყველა კოლეგას დახმარებისთვის და ასევე, მადლობას უხდის თარჯიმანს მისი ოსტატობისთვის. ექსპერტთა ჯგუფს ასევე სურს მადლობა გადაუხადოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს მისი მუდმივი და ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის.

რეკომენდაციები

1.1

- მისიის განაცხადი გახადეთ უფრო მოკლე, ამომწურავი და მკაფიო.
- მისია უნდა შესწორდეს, როდესაც აბსუ-ში სტუდენტები იქნებიან და ის უნდა გაუზიაროთ სხვა დაინტერესებულ მხარეებს.
- მისია და ხედვა უნდა გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე, დამაჯერებელი ახსნა-განმარტებით.

1.2

- ყურადღებით დააკვირდით სამოქმედო გეგმის განხორციელებას (განსაკუთრებით გაამახვილეთ ყურადღება C-ზე (შემოწმება) აბრევიატურიდან PDCA (დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე) და იმოქმედეთ შესაბამისად, პრობლემის გაჩენის დროს).
- სამოქმედო (სამუშაო) გეგმაში განსაზღვრეთ პრიორიტეტები და შეცვალეთ იგი საჭიროებისამებრ.

2.1

- გაზარდეთ სასწავლო/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების **ინგლისური ენის ცოდნის დონე.**
- საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა, რომელიც მოიცავს რექტორისა და გენერალური მდივნისთვის ყველა საჭირო მონაცემს, მათ მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად.
- ზედმიწევნით შეამოწმეთ ორგანიზაციული სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პროცედურები იმისათვის, რომ მოხდეს სამუშაოს გამარტივება, რაციონალიზაცია, ოპტიმიზაცია და, თავიდან აიცილოთ გადაფარვები.
- გქონდეთ მუდმივად განახლებული ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი.
- გამოაქვეყნეთ პატარა ბუკლეტი აბსუ-ს „ფაქტების და ციფრების“ შესახებ.

2.2

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დატვირთული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობით და აკადემიური ადმინისტრაციით და საჭირო იქნება მისი მეტნაკლები ოპტიმიზაცია.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეგროვებული სხვადასხვა მონაცემები სათანადოდ უნდა გამოიყენოთ ანალიტიკური სამუშაოსა და პროგნოზირებადი ტრენდებისთვის.
- მონაცემთა შეგროვების დამატებით გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის საქმიანობაში არსებული უწესრიგობების ავტომატურ გამოვლენას და მიგითითებთ შესაბამის ზომებზე.
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სტუდენტებიც უნდა მონაწილეობდნენ.

2.3

- დანერგეთ პლაგიატისა და ინტელექტუალური საკუთრების მოპარვის გამოვლენის ეფექტური მექანიზმი.
- პირველი კურსის სტუდენტს უნდა ჩაუტარდეს შესავლის მოკლე კურსი უმაღლეს განათლებაში თაღლითობის შესახებ.
- გულმოდგინეთ შეამოწმეთ აბსუ-ში არსებული თითოეული სასწავლო პროგრამის საკუთრება და თუ როგორ აღმოჩნდა თითოეული პროგრამა სიაში.

3.1

- საჭიროა არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების განახლება.
- მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელოვნებო კლასებზე, გეომეტრიულ მოდელირებაზე, ხელით შესრულებულ ნახატებსა თუ ბევრ სხვა საგანზე არქიტექტურის პროგრამებში.

3.2

- „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამას უნდა გადაერქვა სახელი; მაგალითად -“სამოქალაქო ინჟინერია“.

- შემდგომი კურსები უნდა გადაიტანოთ სპეციალობის სავალდებულო სწავლების სექციაში: „ესკიზი“, „არქიტექტურული პერსპექტივა“, „დიზაინი შშმ პირებისთვის“;
- ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის კურსი უნდა დაემატოს სპეციალობის სავალდებულო საგნებს;
- საქართველოს დაგეგმარების კანონმდებლობა ინტეგრირებული უნდა იყოს კურსში „დარაიონების კანონის ძირითადი პრინციპები“;
- თურქული ლიტერატურა უნდა შეიცვალოს ინგლისურით, სადაც შესაძლებელია.
- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ მთავარი როლი პროგრამის სწავლის შედეგების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენაში ;
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის გამოქვეყნება უსდ-ს ვებ-გვერდზე;
- სასწავლო გეგმა უნდა დარეგულირდეს პროგრამის ამოცანებსა და მიზნებზე დაყრდნობით;
- დაამყარეთ კონტაქტი იმ დაწესებულებთან ან ჯგუფებთან, რომლებიც კვლევაზე მუშაობენ. მოიწვიეთ ისინი პროგრამაში, შეიმუშავეთ შესაძლებლობები მაგისტრანტებისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ და შეძლონ მუშაობა საკვლევ თემებზე.
- პროგრამის განვითარების ფაზაში მოიწვიეთ პროფესორები, სტუდენტები და დაინტერესებული მხარეები;
- უნდა მომზადდეს მისაღწევი ეტაპების (ინდიკატორების) რუკა. ეს დაეხმარება სტუდენტს, გაიგოს თავისი თანმიმდევრული ნაბიჯები და საჭიროებები;
- სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ასეთი საერთაშიროსო ამბიციები აქვს, უნდა ეყრდნობოდეს კვლევის მტკიცე საფუძველს. კვლევის საფუძველი ამჟამად არ მოიპოვება და პირველ რიგში, საჭიროა მისი შემუშავება.
- სამაგისტრო პროგრამაზე დაამატეთ მეტი არჩევითი კურსი.

3.3

- შემოიღეთ არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების სტუდენტების შეფასების პროცედურა.
- გადახედეთ პროგრამის შინაარსსა და სილაბუსებს; მოახდინეთ მათი რაციონალიზება ისე, რომ მათი მიღწევა გაზომვადი იყოს და მოექცეს სასწავლო პროგრამის ჩარჩოში. განსაზღვრეთ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მისანიჭებელი კრედიტები.
- გადახედეთ კრედიტების მინიჭების სისტემას.
- გააუმჯობესეთ კვლევითი შესაძლებლობები კვლევით ინსტიტუტებთან ან ამ დარგის ჯგუფებთან თანამშრომლობით.
- შეთავაზებული დიზაინის კურსები ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ დიზაინზე, ისევე როგორც საუნივერსიტეტო კვლევაზე. კურსები უნდა იყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგების რელევანტური.
- პროგრამის განვითარების გუნდმა ხელახლა უნდა გადახედოს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურისთვის რელევანტური უნდა იყოს.
- გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტორის პროფესია რეგულირებადი პროფესიაა ევროკავშირის - ევროპული დირექტივის ავტომატური აღიარებით.

4.1

- შეიმუშავეთ პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.
- შეიმუშავეთ ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძრვანელების შეფასებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები.
- შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის კონკურსის გამჭვირვალე და სამართლიანი წესები;
- შეიმუშავეთ პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- ჩამოაყალიბეთ პერსონალის ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმები;
- პროცედურები უნდა იყოს ოფიციალური და დოკუმენტურად დასაბუთებული (მაგ: ახლადაყვანილი თანამშრომლის ჩართვა სამუშაო გარემოში);
- მოიზიდეთ კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რათა უზრუნველყოთ სტუდენტების სამართლიანი შეფასება და მომსახურება, ასევე უზრუნველყოთ სასწავლო პროცესის სათანადო მსვლელობა ინგლისურ ენაზე.

- დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდეთ ინფორმაცია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სხვა წესების შესახებ.

4.2

- შეიმუშავეთ ზუსტი სამუშაო დატვირთვის სქემა;
- ჩამოყალიბეთ აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალე წესი;
- შეიმუშავეთ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული სტაფის რაოდენობის განსაზღვრის გამჭვირვალე მეთოდოლოგია.
- აკადემიურ პერსონალს მიაწოდეთ ინფორმაცია მათი სამუშაო დატვირთვის შესახებ.

5.1

- უნივერსიტეტს საჭიროა, ჰქონდეს მექანიზმი სტუდენტების მხარდასაჭერად და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, დისციპლინარული კომიტეტის შეხვედრის დროს მათ მხარდასაჭერად, სტუდენტის მიერ რომელიმე წესის დარღვევის შემთხვევაში.
- ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ინტერნეტში გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე.
- უნივერსიტეტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს იმ სტუდენტების შერჩევის მექანიზმები და კრიტერიუმები, რომლებიც შეძლებენ სტიპენდიის მიღებას. შემუშავდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეირჩევიან დისციპლინარული კომიეტისთვის და იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ სპეციალური ეკონომიკური საჭიროების მქონე სტუდენტებს, როგორც ეს ნათქვამია თვითშეფასების ანგარიშში.

5.2

- უზრუნველყავით ინგლისური ენის სრულყოფილი დონე მთლიანი პერსონალისთვის.
- დანერგეთ სწავლის მართვის ნებისმიერი ტიპის სისტემა (როგორებიცაა მაგალითად Moodle).
- აბსუ-ში არსებული ყველა კომპიუტერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის და ურთიერთდაკავშირებული, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ბიბლიოთეკის წიგნების ძებნა, შესაძლებელი იყოს იმის გარკვევა, არის თუ არა კონკრეტული წიგნი საცავში და ა.შ.
- შეიმუშავეთ მკაფიო გზამკვლევი (სტუდენტების სახელმძღვანელო), რათა სტუდენტებს დაეხმაროთ აბსუ-ს თითოეული სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურის, იერარქიისა და პასუხისმგებლობების გაგებაში.

6.1

- დააწესეთ გამოყენებითი კვლევის ხუთი პრიორიტეტი აბსუ-სთვის.
- განმარტეთ ინტელექტუალური საკუთრების უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში(სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებითაც) და უნივერსიტეტიტან ბიზნესში გადატანა.

6.2

- ჩვენი გამოცდილებიდან, კვალიფიციური ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვის ერთ-ერთი შესაძლებლობაა, მათ შესთავაზოთ დროებითი საცხოვრებელი (ბინა) აბსუ-ს სიახლოვეს.
- პერსონალის განვითარებისთვის აუცილებელია სათანადო კვლევითი მუშაობა.
- კვლევითი სამუშაო უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

6.3

- აბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევის შედეგების ხარისხის შეფასების სისტემა უნდა გამარტივდეს.
- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევის შედეგების წლიური ანგარიში უნდა იყოს საჯაროდ წარდგენილი (ვებ-გვერდზე) და უნდა გამოქვეყნდეს.

7.1

- აბსუ-ს გაზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სასურველია ალტერნატიული ფინანსური რესურსები.
- რეკომენდებულია დამატებითი ინფრასტრუქტურული ინვესტიციის დეტალური აღწერის დაგეგმვა.
- მთავარ შესასვლელს კარები უნდა ჰქონდეს ორივე მხრიდან და იღებოდეს გარეთ.
- პანდუსები უნდა აკმაყოფილებდეს მისაწვდომობის რეგულაციებს (6%);

- საჭიროა საპირფარეშოების ხელახალი დაგეგმვარება რათა აკმაყოფილებდეს მისაწვდომობის რეგულაციებს;
- საჭიროა ბარიერების მოხსნა შესასვლელიდან, რათა ეტლით მოსიარულეებს ჰქონდეთ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა; მაქსიმუმ 15მმ ბარიერი არის ნებადართული საქართველოს რეგულაციების თანახმად.

7.2

- გამოყავით მეტი ფინანსური რესურსი, რათა უფრო პროფესიონალური გახადოთ საბიბლიოთეკო მომსახურება.
- ბიბლიოთეკის შიგნით შექმენით პატარა საბეჭდი კუთხე.
- შეიძინეთ მეტი კომპიუტერი და გახადეთ ისინი ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.
- აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შესთავაზეთ წვდომა საერთაშორისო მონაზემთა ბაზებზე.

7.3

- დანერგეთ ეფექტური სამუშაო კომპიუტერული სისტემა შიდა მართვის სისტემისთვისა და სწავლა/სწავლების საქმიანობისთვის, სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის და კვლევითი საქმიანობის სამართავად.
- ხელახლა შექმენით აბსუ-ს ვებ-გვერდი.

7.4

- სტუდენტები (ისინი იხდიან სწავლის საფასურს) ჩართული უნდა იყვნენ აბსუ-ს ბიუჯეტის განაწილებაში.
- აბსუ-მ მეტი მომსახურება უნდა შესთავაზოს საზოგადოებას - ფასიანი (ენების კურსები, ვორქ-შოფები) და უფასო.

რჩევები (შეჯამებულია თითოეული სექციის ბოლოში)

- უწყვეტი განათლების ცენტრს უკვე შეუძლია შექმნას და ჩაატაროს მოკლე, ფასიანი კურსები საზოგადოებისთვის (არამხოლოდ უცხო ენაზე) და გაუწიოს კონსულტაციები ავტორიზაციის მიღებამდე. აბსუ-ს ასევე შეუძლია კონფერენციების ჩატარება. ბათუმი ამისათვის სათანადო ადგილია.
- სხვადასხვა მომსახურებებში სტუდენტების ეფექტური ჩართვა.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, მოცემული კურსები გადაიტანოთ შემდგომ სემესტრებზე: „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციები," „ტრადიციული სამშენებლო მასალები და ელემენტები. ამ საგნებისთვის მე-5-მე-6 სემესტრები იქნება შესაფერისი.
- პროექტის ტიპები და მასშტაბები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კურსებისთვის „არქიტექტურული პროექტი 1-7".
- - სასწავლო პროგრამები უნდა შეაფასოს ABET-მა ან სხვა მსგავსმა სააგენტომ
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, აბსუმ გადახედოს და შეისწავლოს ევროკავშირის კანონმდებლობა: 2013 წლის PQD-ში (პროფესიონალური კვალიფიკაციების დირექტივა), შესწორდა 2013/55/EU. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32013L0055&from=EN. იგი შეიცავს არქიტექტორების განათლების სწავლის შედეგების აღწერის 11 „ცნობილ" პუნქტს.

- უმჯობესი იქნება, თუკი უნივერსიტეტი ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი და რეალიზებული ტრენინგ კურსების შესახებ იმისათვის, რომ გაზარდოს პერსონალის ცნობიერება და ტრენინგებში მათი ჩართულობა.
- - დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაემატოს სასწავლო ხელშეკრულებას:
  ა) სასწავლო ხელშეკრულების პუნქტი 4.6 აღნიშნავს, რომ მას ხელს მოაწერენ ყოველი წლის დასაწყისში. სასურველი იქნება, სწავლების მთელ პერიოდში ერთი ხელშეკრულების ქონა და სტუდენტების მიერ ყოველწლიურად ხელმოწერის თავიდან აცილება.
  ბ) თუ აბსუ მომაზადებს სასწავლო ხელშეკრულებას მთელი სასწავლო პერიოდისათვის (8 სემესტრი საბაკალავრო პროგრამებისათვის და 4 სემესტრი სამაგისტრო პროგრამებისათვის),

უცხოელ სტუდენტებისათვის უკეთესი იქნება, მკაფიოდ გაიაზრონ არის თუ არა აბსუ უფლებამოსილი შეცვალოს / გაზარდოს სწავლების საფასური თუ წლიური ინფლაცია და ეროვნული ვალუტის დევალვაცია გადააჭარბებს X%-ს. (იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით ხელშეკრულების დადება ხდება ლარებში). ეს, ასევე, არის აბსუ-ს ფინანსური ინტერესების ფარგლებში.

გ) სტუდენტებისათვის შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ ხელშეკრულებაში ეთიკის კოდექსის გარკვეული ნაწილები იყოს აღნიშნული - განსაკუთრებით პლაგიატის საკითხი - რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს, რომ სტუდენტები ჰყავდეს უკეთ ინფორმირებული იმ პრობლემების შესახებ, რასაც პლაგიატი იწვევს.

- იმდენად რამდენადაც, ბათუმში რამდენიმე უნივერსიტეტი არსებობს, სასურველი იქნება დაინერგოს სტუდენტების ომბუდსმენი სტუდენტების უფლებების გასაკონტროლებლად

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☐	**x**	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☐	x	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	x	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	**x**	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	x	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	x	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	x	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☐	☐	**x**
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება	☐	☐	x	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	x
3,3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	x	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☐	☐	**x**
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	x
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	x	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☐	**x**	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	x	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	x
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☐	**x**	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	x	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	x	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	x
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☐	**x**	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	x	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	x
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	x	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	x	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ივან ლებან (თავმჯდომარე)
2. ნანა იაშვილი (წევრი)
3. ქეთევან აფთარაშვილი (წევრი)

4. ნინო ტალიაშვილი (წევრი)
5. გიორგი მახარაშვილი (წევრი)
6. გიორგი ქურდიანი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და ფართო საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს, განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აბსუ-ს მისია წარმოდგენილია დანართში 2. მისია მოიცავს უმაღლესი განათლების მთავარ მიმართულებებს: სწავლა და სწავლება, კვლევა და საზოგადოების მომსახურება. ბოლო წლებში, ინოვაცია მისიის შემადგენელი ნაწილი ხდება, თუმცა არა მხოლოდ როგორც ინოვაციური მეთოდი სწავლებაში. არის სხვა ინოვაციური მიდგომებიც, როგორიცაა ინოვაციის გამხელა, ტექნიკური ლიცენზიების წარმოება, სტუდენტების დახმარება სტარტაპებში, ინტელექტუალური საკუთრების გადაცემა, მოკლე კურსები ბიზნეს განათლებაზე და უამრავი სხვა. რამდენადაც ეს იყო უნივერსიტეტის წინასწარი შეფასება (სტუდენტების გარეშე, რომლებიც მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარე არიან), ჩვენ ვერ შევამოწმეთ სტუდენტების შეხედულება ამ მისიაზე. მისია უნდა გაუზიაროთ სტუდენტებს, ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეს და სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზეც. აბსუ-ს აქვს სურვილი, გახდეს საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც სწავლების ენა იქნება ინგლისური. მისიიდან ჩანს, რომ აბსუ-ს სურს, უზრუნველყოს ქართული უმაღლესი განათლების ინტეგრირება ერთიან ევროპულ სივრცეში. შესაბამისად, მისია უფრო მეტად კონკრეტული უნდა იყოს, მოიცავდეს რა კონკრეტულ ქართულ სამეცნიერო მიდგომას სასწავლო პროგრამებშიც. - უნივერსიტეტების მისიები, როგორც წესი უფრო მოკლეა, ერთ წინადადებაში გამოთქმული. მისია ძალიან მნიშვნელოვანია ახლად დაარსებული უნივერსიტეტისთვის და როგორც წესი ასახავს უნივერსიტეტის შესრულებად სურვილს აწმყოში - ადგილობრივად, ქვეყანასა და მსოფლიოში. თუკი მისიის განაცხადი აღწერს, თუ რისი გაკეთება სურს უნივერსიტეტს ახლა, ხედვის განაცხადი გვეუბნება თუ რისი მიღწევა სურს უნივერსიტეტს მომავალში. ორივე შემთხვევაში, უნდა დაწესდეს რამდენიმე პრიორიტეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მისია მოცემულია დანართში 2, თავისი მიზნებით, ხედვებით და ღირებულებებით, თუმცა შეფასების კრიტერიუმებში ნათქვამია, რომ მისიის განაცხადი უნდა გაზიარდეს მთელ საზოგადოებასთან უნივერსიტეტში. შესაბამისად, მომავალში, სტუდენტებთან და ახალ დამსაქმებლებთან ერთად, მისიის განაცხადი უნდა შესწორდეს. დამფუძნებელთან გასაუბრებისას შევიტყვეთ, რომ მართალია უნივერსიტეტი „მოგებაზე“ იმუშავებს, თუმცა მთლიანი მოგება მოხმარდება უნივერსიტეტში აკადემიური ცხოვრების გაუმჯობესებას, რაც ძალიან დადებითი ფაქტია. გარდა ამისა, შევიტყვეთ, რომ აბსუ-ს მიზანია, უზრუნველყოს ქართული უმაღლესი განათლების ინტეგრირება ერთიანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში. ასევე, უნივერსიტეტის განზრახვაა მეცნიერების პოპულარიზაცია და სტუდენტების ჩართვა სოციალურ და საინჟინრო სამეცნიერო პროექტებში. ასევე მნიშვნელოვანია ძლიერი საქმიანი ურთიერთობების დანერგვა კერძო სექტორთან, მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფებთან.

გასაუბრებისას, პოტენციურმა დამსაქმებლებმა გამოთქვეს ინტერესი აბსუ-ს კურსდამთავრებულებისადმი, თუმცა არ იცოდნენ, რომ პირველი კურსდამთავრებულები უნივერსიტეტს ეყოლება 4-5 წელიწადში, თუკი ავტორიზაციას გაივლის. შევიტყვეთ, რომ აბსუ-ში შეძენილი არქიტექტორისა და მშენებლობის ინჟინერის პროფესიები საჭირო იქნება მომავალში, მაგალითად იმიტომ, რომ იგეგმება ტრაპიზონი-ბათუმის რკინიგზის გაყვანა.

რეკომენდაციები:

- მისიის განაცხადი გახადეთ უფრო მოკლე, ამომწურავი და მკაფიო.
- მისია უნდა შესწორდეს, როდესაც აბსუ-ში სტუდენტები იქნებიან და ის უნდა გაუზიაროთ სხვა დაინტერესებულ მხარეებს.
- მისია და ხედვა უნდა გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე, დამაჯერებელი ახსნა-განმარტებით.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი).

o უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.

o უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მისიისა და ხედვის გამოყენებით, აბსუ-მ შექმნა სტრატეგიული (7 წლიანი) და სამოქმედო (სამუშაო) გეგმა (3 წლიანი), რომელიც განახორციელებს სტრატეგიულ გეგმას.
აქაც, აბსუ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეა, რადგან ეს ორი მნიშვნელოვანი აქტი - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები - მომზადდა სტუდენტების მონაწილეობის გარეშე. თუმცა, ისინი გულმოდგინედ მომზადდა და მოიცავს ყველა აკადემიურ ასპექტს - უნივერსიტეტის განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, სასწავლო პროგრამების დაგეგმვას და შესწორებას, სტუდენტების, ადამიანური და მატერიალური რესურსების ჩართულობით. ზოგიერთი სუსტი მხარე გამოვლინდა სასწავლო პერსონალთან დაკავშირებით. სასწავლო პერსონალის ნაკლებობის გათვალისწინებით, გონივრული იქნება მთელი რიგი ამოცანებიდან რამდენიმე პრიორიტეტის დაწესება.

დოკუმენტებში ნათქვამია,რომ საწყისი ეტაპისთვის, აბსუ შესაძლოა სირთულეებს წააწყდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დასაქმებისას ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრიდან. მართალია, რომ კერძო-პირდაპირი ინვესტიციები საქართველოს უმაღლეს განათლებაში უზრუნველყოფს გარემოს, რომელშიც შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება და განვითარება. თუმცა, კვალიფიციური პერსონალის გარეშე, ამის მიღწევა რთულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

არსებობს დანართი 5 (2018-2020 წლების 3 წლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები; მიზნების მიღწევის ვადები; პასუხისმგებელი პირები და მაჩვენებლები), დანართი 6 (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია), დანართი 8 (საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით დაგეგმილი და მისაღები აქტივობები), დანართი 9 (სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, სტუდენტების უწყვეტი განათლება და კარიერული განვითარება, სამოქმედო (3 წლიან) გეგმასთან ერთად) და 2018-2020 წლის მოსალოდნელი შედეგები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განხორციელების სტრუქტურები, მონიტორინგის მექანიზმები, შესრულების ინდიკადორები, მოსალოდნელი შედეგები (2018-2024).

დოკუმენტებიდან და აკადემიურ პერსონალთან საუბრიდან და გასაუბრებიდან (მუდმივი და მოწვეული - იხილეთ ადგილზე ვიზიტის განრიგი დეტალებისთვის) დავადგინეთ, რომ აბსუ-სთვის მთავარი სირთულე იქნება ისეთი კვალიფიციური პერსონალის მოპოვება, რომელმიც კარგად ფლობს ინგლისურ ენას. ფინანსური ინვესტიციები აბსუ-ში სავარაუდოდ არ გამოიწვევს პრობლემებს (ინტერვიუ დამფუძნებელთან). ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, სავარაუდოდ მოხდება კამპუსის იდეის რეალიზება.
რეკომენდაციები: • ყურადღებით დააკვირდით სამოქმედო გეგმის განხორციელებას (განსაკუთრებით გაამახვილეთ ყურადღება C-ზე (შემოწმება) აბრევიატურიდან PDCA (დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე) და იმოქმედეთ შესაბამისად, პრობლემის გაჩენის დროს). • სამოქმედო (სამუშაო) გეგმაში განსაზღვრეთ პრიორიტეტები და შეცვალეთ იგი საჭიროებისამებრ.
• **რჩევები:** უწყვეტი განათლების ცენტრს უკვე შეუძლია შექმნას და ჩაატაროს მოკლე, ფასიანი კურსები საზოგადოებისთვის (არამხოლოდ უცხო ენაზე) და გაუწიოს კონსულტაციები ავტორიზაციის მიღებამდე. აბსუ-ს ასევე შეუძლია კონფერენციების ჩატარება. ბათუმი ამისათვის სათანადო ადგილია.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას o უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი. o უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აბსუ-ს მმართველი ორგანოებია: • პარტნიორთა გენერალური ასამბლეა (არ არსებობს) • რექტორი • აკადემიური საბჭო (ამჟამად არ არსებობს) • გენერალური მდივანი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სხვა ერთეულებითა და სამსახურებით: ფაკულტეტი, ფაკულტეტის დეკანი, ბიბლიოთეკა, საფინანსო სამსახური, შესყიდვების სერვისის განყოფილება, აუდიტის განყოფილება, იურიდიული სამსახური,

აკადემიური პროცესის მართვა, შემთხვევის პროცესის მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის სამსახური, გამოცდენის ცენტრი, სტუდენტთა მომსახურება, უწყვეტი განათლებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, ინფორმაციულ ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ენის შემსწავლელი ცენტრი.

მოკლედ რომ ითქვას, აბსუ ირწმუნება, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ეფექტიანად და კოორდინირებულად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გაწერილი და განსაზღვრული ვრცელი რეგულაციებით. უნივერსიტეტში აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ხდება დროულად და ეფექტიანად. აბსუ-ს საქმიანობის წესები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. მართვის პროცესში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი უზრუნველყოფილია შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

ამ ეტაპზე არ არსებობს აკადემიური საბჭო და საუნივერსიტეტო დონეზე მის მმართველობას წარმოადგენს დამფუძნებელი, რექტორი და გენერალური მდივანი. უნივერსიტეტი, როგორც პატარა დაწესებულება, ცენტრალიზებულია. თუმცა, ავტორიზაციის მიღების შემდეგ, უნივერსიტეტი აღმოჩნდება გადამწყვეტი სტრატეგიული არჩევანის წინაშე სტრატეგიული გეგმიდან და მოუწევს მხოლოდ რამდენიმე პრიორიტეტის დაწესება. გარდა ამისა, აბსუ პატარა უნივერსიტეტია და შესაძლებელია ზოგიერთი სამსახურის ოპტიმიზაცია. მაგალითად: საფინანსო სამსახური, შესყიდვების სერვისის განყოფილება და აუდიტის სამსახური- შესაძლოა, რომ იყოს ერთი ერთეული. ასევე, ინფორმაციულ ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური - შესაძლოა იყოს ერთი ერთეული. თუმცა, ორგანიზაციის სქემა უნივერსიტეტის ავტონომიის ხელშია.

რამდენადაც უნივერსიტეტში ამჟამად სტუდენტები არ არიან, სტუდენტებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი სერვისის შემოწმება ვერ ხერხდება. ამისათვის არსებობს მხოლოდ რეგულაციები. ამჟამად ძალიან აქტიურია ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აცხადებს ვაკანსიებს მომავალი სასწავლო პერსონალისთვის.

საერთო ჯამში, აბსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ეფექტურ განხორციელებას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევებში შესაძლებელია პროცედურების გამარტივება (მაგალითად: სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების წლიური პროცესი, თვითშეფასების ანგარიში გვ.88).
თუმცა, არსებობს მმართველი ორგანოების არჩევის/დანიშვნის სხვა წესები და პროცედურები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

აბსუ საერთაშორისო უნივერსიტეტი იქნება და შესაბამისად **ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა** არის აუცილებელი და სავალდებულო სასწავლო პერსონალისთვის, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ამ საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელი ცენტრის როლი. მმართველობას ეს გააზრებული აქვს და ბოლო გასაუბრებისას, აბსუ-ს დამფუძნებელმა პირობა დადო, რომ ამ ზომებს დაუყოვნებლივ მიიღებს მომავალში.

აბსუ საერთაშორისო უნივერსიტეტია. სტუდენტების საერთაშორისო მობილობა ინტერნაციონალიზაციის ყველაზე აშკარა ასპექტია, მაშინ როცა სტუდენტთა მოსაზრებებს ყველაზე ნაკლებად ისმენენ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ დისკუსიებში. ბოლო ათწელეულების განმავლობაში, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციამ მოიზიდა უმაღლესი განათლების პედაგოგების, მკვლევარებისა და პოლიტიკის შემქმნელთა ინტერესები სხვადასხვა დონეებზე: გლობალურ, ეროვნულ და ინსტიტუციურ. ინტერნაციონალიზაციის მთავარი ასპექტები უკავშირდება სწავლას საერთაშორისო კონტექსტში, კულტურათა შორის ურთიერთობებს და მობილობას. თუმცა, აბსუ ახლად დაარსებული უნივერსიტეტია და მას ამჟამად არ ჰყავს სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

უსდ-ს (თვითშეფასების ანგარიშში გვ.21-გვ.30) ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა მოიცავს შემდგომ დანართებს:
დანართი 10- აბსუ-ს სტრუქტურა;
დანართი 11- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
დანართი 12 - სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;

დანართი 13 - პერსონალის ფუნქციები, პასუხისმგებლობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული ცოდნა და უნარები;
დანართი 14 - მმართველ ორგანოებში დანიშვნისა და არჩევის წესი;
დანართი 15- აკადემიური საბჭოს რეგულაცია;
დანართი 16 - რეესტრის წარმოების წესი;
დანართი 17- შემთხვევის ჩატარების წესი;
დანართი 18 - შპს „ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მართვისა და შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმები;
დანართი 19- ბრძანება მონიტორინგის ჯგუფზე;
დანართი 20- ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
დანართი 21- სამოქმედო გეგმა (სამი წელი) და მოსალოდნელი შედეგები 2018-2020;
დანართი 22- 3 წლიანი 2018-2020 სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები;
დანართი 23- აბსუ-ს სტრატეგიული გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, მოქმედებების განხორციელება, ვადების შესრულება, პირობების შესრულება, მონიტორინგის მექანიზმები, შესრულების მაჩვენებლები, მოსალოდნელი შედეგები (2018-2024);
დანართი 24- აბსუ-ს სტრატეგიული გეგმა, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები.

დამატებითი გასაუბრებები დამფუძნებელთან, რექტორთან და გენერალურ მდივანთან.

რეკომენდაციები:

- გაზარდეთ სასწავლო/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების **ინგლისური ენის ცოდნის დონე**.
- საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა, რომელიც მოიცავს რექტორისა და გენერალური მდივნისთვის ყველა საჭირო მონაცემს, მათ მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად.
- ზედმიწევნით შეამოწმეთ ორგანიზაციული სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პროცედურები იმისათვის, რომ მოხდეს სამუშაოს გამარტივება, რაციონალიზაცია, ოპტიმიზაცია და, თავიდან აიცილოთ გადაფარვები.
- გქონდეთ მუდმივად განახლებული ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი.
- გამოაქვეყნეთ პატარა ბუკლეტი აბსუ-ს „ფაქტების და ციფრების“ შესახებ.

რჩევები:

- სხვადასხვა მომსახურებებში სტუდენტების ეფექტური ჩართვა.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

o დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელ ნაწილს, რაც აუცილებელია აბსუ-ს განვითარებისთვის. იგი აფასებს სასწავლო და კვლევით საქმიანობას, აანალიზებს შედეგებს და იყენებს ამ შედეგებს სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება და უმაღლესი დონის სწავლება, ასევე ხელი შეუწყოს კვლევას და გაუმჯობესოს

მმართველობის ეფექტიანობა.

აბსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული ჩართულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ადამიანური, ინფორმაციული და მატერიალური რესურსებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი აწარმოებს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტ შეფასებას და განვითარებას.

შესაბამისად, აბსუ-ს მენეჯმენტი შეძლებს სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას ხარისხის შეფასების შედეგებზე.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა:
-პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) მუშაობის შეფასების სისტემა;
-სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები, და იყენებს მის შედეგებს სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომლებშიც აქტიურად იქნებიან ჩართული აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა);
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ტარდება კონკრეტული მეთოდოლოგიით, რაც მხედველობაში იღებს რესურსებს, შესაბამის ინდიკატორებსა და სამიზნეებს.
- უნივერსიტეტის სერვისების ხარისხის შეფასების მექანიზმები, აბსუ-ს მიერ მოწოდებული ტრენინგები და მატერიალური რესურსები.
- სისტემური შეფასების მექანიზმები გადამზადებისა და სამეცნიერო კვლევისთვის, ასევე სამომავლო მიზნებისთვის პერსონალის პროფესიული ხარისხის განვითარება.

შეფასების შედეგები, ასევე რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს რეაგირებისა და დამტკიცებისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ დაიწყო და განაგრძობს მუშაობას დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე (PDCA ("Plan - Do - Check - Act") - პრინციპით. დასაწყისში, ყველაზე მნიშვნელოანია ასო C (Check- შეამოწმე) ამ აბრევიატურიდან.

საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უკვე დაგეგმილი იყო და დაიწყო მუშაობა 2018 წელს, თუმცა ზოგიერთი მისი საქმიანობა ვერ შემოწმდა.

კომპიუტერული სისტემა ასევე შეამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებს, აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალს, მონაცემებს სტუდენტებისა და გარე დაინტერესებული პირებისთვის. სხვა მომსახურებების ხარისხის შესახებ მონაცემები ასევე მოგროვდება და გამოიყენებენ გაუმჯობესებისთვის.

სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირება მოხდება მაშინ, როდესაც აბსუ-ში ჩაირიცხებიან სტუდენტები. ჩვენ არ შეგვიმოწმებია არსებობს თუ არა რაიმე სათადარიგო გეგმა აბსუ-სთვის, რომ იგი მოემზადოს ამ პოტენციური მოვლენისთვის.

აბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ძალიან კომპენტენტურ ხელმძღვანელი უდგას სათავეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 25- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
დანართი 26 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა.
დანართი 27- გამოკითვა - კითხვარი
დანართი 28 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
თვითშეფასების ანგარიში გვ. 30

ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დატვირთული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობით და აკადემიური ადმინისტრაციით და საჭირო იქნება მისი მეტნაკლები ოპტიმიზაცია.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეგროვებული სხვადასხვა მონაცემები სათანადოდ უნდა გამოიყენოთ ანალიტიკური სამუშაოსა და პროგნოზირებადი ტრენდებისთვის.
- მონაცემთა შეგროვების დამატებით გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის უნივერსიტეტის საქმიანობაში არსებული უწესრიგობების ავტომატურ გამოვლენას და მიგითითებთ შესაბამის ზომებზე.
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სტუდენტებიც უნდა მონაწილეობდნენ.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- o უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიარიზმის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აბსუ აკადემიური განათლებისა და კვლევის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ეს იქნება სტუდენტების, პროფესორების, მასწავლებლების და მკვლევარების საზოგადოება, რომელიც იცავს სამ ძირითად პრინციპს: აკადემიური თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და არჩევანის თავისუფლება.

აბსუ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დემოკრატიული და ღია საზოგადოების განვითარებაში. შედეგად, აბსუ-ს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი არის ეთიკური პრინციპების, ღირებულებების და საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ქცევის პრინციპების ფორმულირება. იგი მიზნად ისახავს იმ ეთიკური პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ხელშეწყობას, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მათი მუშაობის ან სწავლის პერიოდში.

ეს სისტემა ასევე მიზნად ისახავს კოლეგებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტთან და ადგილობრივ ან საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობების დარეგულირებას.

ეთიკის კოდექსი ვრცელდება აბსუ-ს სტუდენტებსა და პერსონალზე და არეგულირებს მათი ქცევის წესებს, არა მხოლოდ უნივერსიტეტში სწავლებისა და მუშაობის პერიოდში, არამედ შემდეგაც.

ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპების თანახმად, ყველა სტუდენტს თანაბრად ემსახურება საქართველოს კანონმდებლობა და სასწავლო უნივერსიტეტის დებულებები.

სტუდენტი ვალდებულია მიიღოს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ღირებულებები და დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი წესები. ეთიკის კოდექსი მოიცავს სტუდენტის იმ ქცევებს, რომლებიც მიიჩნევა მიუღებლად და არაეთიკურად.

აბსუ რეაგირებას მოახდენს გადაწერის, პლაგიატის, თაღლითური ან გაყალბებული საკურსო ნაშრომის ან გამოცდებსა და შეფასებებზე უკანონო ქმედების ბრალდებებზე. სუდენტს ვერ მიენიჭება ხარისხი ან წარდგენილი ჯილდო, თუკი მის წინააღმდეგ არსებობს მსგავსი ბრალდება, რომელიც ჯერ არ გარკვეულა.

აბსუ განიზრახავს მაღალი ხარისხის სწავლა/სწავლების და კვლევითი საქმიანობის წარმოებას, რომელიც აღიარებულია და კანონიერი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სივრცეში. ეს მნიშვნელოვანი

წინაპირობაა ამ ხედვის განსახორციელებლად - აკადემიური კეთილსინდისიერება, პატიოსნება კვლევით და სატრენინგო საქმიანობაში. აბსუ გაზრდის ძალისხმევას პლაგიატისა და ინტელექტუალური საკუთრების მოპარვის გამოსავლენად, ასევე აკადემიურ პროცესში თაღლითობისა და მოტყუების პრევენციისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დანართი 30- აბსუ-ს ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულება დანართი 31 - აბსუს დებულება დანართი 32 - სამეცნიერო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შესახებ დანართი 33 - შპს ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესი გასაუბრება დამფუძნებელთან და რექტორთან
რეკომენდაციები: • დანერგეთ პლაგიატისა და ინტელექტუალური საკუთრების მოპარვის გამოვლენის ეფექტური მექანიზმი. • პირველი კურსის სტუდენტს უნდა ჩაუტარდეს შესავლის მოკლე კურსი უმაღლეს განათლებაში თაღლითობის შესახებ. • გულმოდგინედ შეამოწმეთ აბსუ-ში არსებული თითოეული სასწავლო პროგრამის საკუთრება და ის, თუ როგორ აღმოჩნდა თითოეული პროგრამა სიაში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აბსუ-მ შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით: „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების და გაუმჯობესების მეთოდოლოგია“. ეს განსაზღვრავს მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხილვის, შეფასების და შესწორების წესებისა და პროცედურებისთვის. საგანმანათებლო პროგრამა წარმოადგენს ტრენინგ კურსების/უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების მოსაპოვებლად საჭირო კომპონენტების კომბინაციას. პროგრამა შედგენილი უნდა იყოს ECTS-ის მიხედვით. შეთავაზებული და მიღებული რეგულაციები მოიცავდა მთლიან ჩამოყალიბებულ პროცედურას ზოგიერთი ძირითადი სასწავლო პროგრამების დიზაინთან დაკავშირებით. თუმცა, ჩვენ მოგვიწია დაგვეკავშირებინა ეს პროცედურები აბსუ-ს სასწავლო პროგრამების კონტენტთან, რაც ახსნილია

ქვემოთ. თავად მეთოდოლოგია კარგია, მაგრამ სასწავლო პროგრამა ატარებს გარკვეულ სპეციალობებს (აღწერილია ქვემოთ).

პროგრამისა და სილაბუსების წაკითხვისა და გააზრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე შეუსაბამო ცნება, რამაც უამრავი შეკითხვა დაბადა. უმეტესად ისინი ეხება ამოცანებსა და შედეგებს, ასევე კონტენტს და უშუალოდ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებს.
არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (განახლებულ ვერსიაში) ამოცანები განსაზღვრულია შემდეგნირად: *„...პერსონალი საერთაშორისო გაზრისთვის, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პრაქტიკული უნარები აქრიტექტურის სფეროში. შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ არქიტექტურული გარემოს კეთილმოწყობასა და დიზაინის შექმნაში...“* უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად მოცემულ დანართებში წარმოდგენილ სილაბუსებში, აშკარად არის ყურადღება გამახვილებული თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე არქიტექტურის სტუდენტებისთვის, რაც გაწერილია სილაბუსში: „სილაბუსი N16 სამაგისტრო ნაშრომი; და სილაბუსი N32 საბაკალავრო ნაშრომი“. მეორეს მხრივ, არცერთ კურსზე არ არის გამოვლენილი შემოქმედებითობის მკაფიოდ განსაზღვრული ასპექტი, რაც ზოგიერთი წინასწარდაწესებული ამოცანების თანახმად, მიზნად ისახავს სტუდენტთა მიერ გარემოს სამგანზომილებიანი აღქმის გაუმჯობესებას და წესით უნდა იყოს საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი. შემოქმედებითობის მიღწევა შესაძლებელია, თუკი მეტი ყურადღება დაეთმობა სახელოვნებო საგნებს, გემოეტრიულ მოდელირებას, ხელით ხაზვას, გამოქანდაკებას და სხვა უამრავ საგანს და ეს ყოველივე კარგად უნდა იყოს აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის იმავე სილაბუსში.
არქიტექტურაში სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები, თუ როგორი უნდა იყოს ნაშრომის საბოლოო სახე (რა სამუშაო უნდა ჩატარდეს გარდა ქაღალდზე დამყარებული კვლევისა და მისი წერილობითი ანალოგისა) მის თეორიულ ნაწილთან ერთად. არქიტექტურის დარგში თეორიული კვლევა ვერ იარსებებს რეალური პროექტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას აკლია ძირითადი ასპექტები, რომლებიც სავალდებულოა კრეატიული დიზაინერისთვის და იმ სტუდენტისთვის, რომელთაც უნდა განუვითარდეს სივრცითი აზროვნება. სამაგისტრო ნაშრომი შედგება ორი კომპონენტისგან - კვლევითი ნაწილი და პროექტი, ეს ჯამში შეადგენს 30 კრედიტს. თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს მხოლოდ ჩვეულებრივ ანალიზს, რომელიც საჭიროა დიზაინის პროექტის წამოსაწყებად. კვლევა ასე არ განისაზღვრება საერთაშორისო დონეზე. ამ კომპონენტს ნამდვილად სჭირდება დამატებითი გაუმჯობესება და განვითარება.
ნაშრომის სილაბუსი (საბაკალავრო და სამაგისტროსთვისაც) საჭიროებს შესწორებას და/ან პროგრამას უნდა ჰქონდეს მეტი სავალდებულო საგანი, რომელიც შეეხება შემოქმედებითი აზროვნების გაუმჯობესებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იმავე დოკუმენტში, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების აბზაცში ნახსენებია შემდეგი: „ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი სწავლება და ა.შ“,- არ არის ნახსენები ხელოვნება, ხელით ხაზვა ან სივრცითი აღქმა, როგორც მეთოდოლოგია. არ არის მოცემული ის ზომები, რომლებიც საჭიროა ზემოთ ხსენებული უნარების გასაუმჯობესებლად. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ ადგილზე ვიზიტის დროს, იქ ვვერ ვნახეთ ვერცერთი სახელოვნებო კლასი. როდესაც ვიკითხეთ- ექსპერტთა ჯგუფს აჩვენეს ერთი საკლასო ოთახი/აუდიტორია, რომელშიც განთავსებული იყო 4 საპროექტო მაგიდა და 20 სტანდარტული მაგიდა ლექციისთვის, რაც განკუთვნილია არქიტექტურული ნახაზებისთვის და არა სამხატვრო კლასებისთვის. ზოგიერთი კლასი ვერ ჩაითვლება, რომ გამოიყენება მხატვრობის ან თავისუფალი ესკიზების/ხატვისთვის და/ან გრაფიკული სამ-განზომილებიანი მოდელირებისთვის.

არქიტექტურის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში N32, დეტალურად არის გაწერილი კვლევითი კომპონენტის კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს ქაღალდის ტიპს, ფონტის სტილს და ა.შ. (ეს დადებითი ასპექტია), თუმცა სილაბუსის შინაარს აკლია უშუალოდ პროექტის კრიტერიუმები. როგორი ტიპის პროექტი უნდა ააგონ? მოეთხოვებათ თუ არა საერთოდ პროექტის შექმნა? ეს საკითები არ ჩანს წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არქიტექტურული პროექტი არ წარმოადგენს პრიორიტეტს - ეს კი ასე არ უნდა იყოს.

მოწვეულ პერსონალთან შეხვედრის და ზოგიერთი სილაბუსის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი გაოცებული დარჩა, რომ არქიტექტურის პროგრამის რამდენიმე დიდი ნაწილის შემთვევაში, როგორიცაა მეცნიერებათა მაგისტრის ნაშრომის მეოთხე სილაბუსი - ამ სილაბუსზე პასუხისმგებელმა პროფესორმა არ იცოდა, რომ იგი პასუხისმგებელი იყო ამ ნაწილზე. იგივე პროფესორი

პასუხისმგებელი იყო 4,5,25 სილაბუსებზე სამაგისტრო პროგრამაში და 4,35,41,44 სილაბუსებზე საბაკალავრო პროგრამაში. ამ პროფესორმა, სხვა რამდენიმე პროფესორთან ერთად მკაფიოდ განაცხადა, რომ არ იყო დარწმუნებული რომელიმე პროფესორი გადავიდოდა თუ არა ბათუმში საცხოვრებლად, რადგან ეს პირი გაოცდა, როცა გაიგო, რომ იგი იყო ამდენი პროგრამის ხელმძღვანელი და ექსპერტთა ჯგუფს დაეთანხმა იმაზე, რომ დროის თვალსაზრისით, რთული ან საერთო შეუძლებელი იქნებოდა ასეთი დატვირთვით მუშაობა. ყოველივე ზემოთ ხსენებული მიუთითებს იმაზე, რომ აბსუ-ში არის ინფორმაციის შიდა მიმოცვლის ნაკლებობა და არსებობს გარკვეული პრობლემები ადმინისტრაციისგან ინფორმაციის არასწორად გაგების შესახებ, რამდენადაც ზოგიერთ პროფესორს გაუკვირდა თავისი სახელის დანახვა ზოგიერთ სილაბუსზე. რამდენიმე მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ. აქედან ჩანს, რომ ამ პროგრამის შექმნა არ მომხდარა კოლაბორაციით და თუკი პროფესორები არ არიან დარწმუნებულნი, შეუერთდებიან თუ არა ამ პროგრამას, მისი დაუბალანსებელი სამუშაო დატვირთვის გამო, ლოგიკურია ეჭვქვეშ დავაყენოთ არქიტექტურის ახალი საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების წარმატების მაჩვენებელი და მივიჩნიოთ იგი შეუსაბამოდ.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსი N48 ასწავლის 3D MAX-ს და V-Ray-ს, რაც ვერ ჩაანაცვლებს Autocad-ს და სხვა CAD პროგრამებს, რამდენადაც ისინი მხოლოდ გრაფიკული დიზაინის ხელსაწყოს წარმოადგენენ და ვერასოდეს მოხდება მათი გამოყენება დეტალურ არქიტექტურაში ან სამოქალაქო ინჟინერიისთვის საჭირო ნახაზების შესაქმნელად. სილაბუსი N16- კომპიუტერული დიზაინი 1, წარმოადგენს სილაბუსს, რომელიც გამიზნულია შეავსოს ეს დანაკლისი და ასწავლის CAD პროგრამას და 2-განზომილებიანი ესკიზების აგებას, თუმცა სილაბუსში უნდა განიმარტოს, თუ რომელი კომპიუტერული პროგრამებით მოხდება ამის სწავლება. რაც შეეხება სასწავლო კომპიუტერულ პროგრამებს აბსუ-ში, უნივერსიტეტში არცერთი კომპოიტერი არაა ისეთი მონაცემების, როგორიც საჭიროა აღნიშნული კომპიუტერული პროგრამების გასაშვებად- მიუხედავად იმისა, რომ ყველა კომპიუტერი ახალია, ისინი არ არის საკმარისი ამ საგნებისთვის. უნივერსიტეტს სჭირდება ახალი კომპიუტერების შეძენა ან არსებულის გაუმჯობესება კომპიუტერული პროგრამების შესასწავლად. უნივერსიტეტმა ნათლად უნდა განსაზღვროს, თუ რომელ კომპიუტერულ პროგრამებს ასწავლიან და მიუთითონ ეს სილაბუსში.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ადგილობრივი დეველოპერი კომპანიები აქტიურად უწევდნენ კონსულტაციებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მათი პრიორიტეტებისა და საჭიროებების კუთხით, რაც აისახა თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამებში. იმის ვარაუდით, რომ დეველოპერული ბიზნესი საქართველოში მის საბაზო დონეზეა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტებმა, სადაც ისეთი დარგი ისწავლება, როგორიც არქიტექტურაა, ხელი უნდა შეუწყონ და დაამკვიდრონ ძირითადი ღირებულებები და სტუდენტებს მისცენ ემპირიულ გამოცდილებასა და სხვადასვა კულტურების საუკეთესო პრაქტიკებზე აგებული თავისუფალი და დამოუკიდებელი ცოდნა და არ ასახონ სხვა ბიზნეს კომპანიების ინტერესები.

უსდ-მ ასევე შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით: „საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინსტრუქცია“. აღნიშნულ დოკუმენტში სხვა უნივერსიტეტის სახელი ნახსენებია რამდენჯერმე. მაგალითად: „შეფასების სხვა დამატებითი მოთხოვნები (მათ შორის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები) იხილეთ აწსუ-ს სტუდენტთა შეფასების სისტემის (მუხლი 9.5) დოკუმენტში,“- იგივე უნივერსიტეტია ნახსენები ამ დოკუმენტის მე-14 მუხლში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ადგილზე ვიზიტი, გასაუბრება მოწვეულ პერსონალთან და სხვა ინტერვიუები.

დანართი 28- საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

- საჭიროა არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების განახლება.
- მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელოვნებო კლასებზე, გეომეტრიულ მოდელირებაზე, ხელით შესრულებულ ნახატებსა თუ ბევრ სხვა საგანზე არქიტექტურის პროგრამებში.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აბსუ სტუდენტებს სთავაზობს სამ პროგრამას, ორ საბაკალავროს და ერთ სამაგისტროს: არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა, მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა და არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამა.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ტერმინი „მშენებლობა“ არ შეეფერება საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რამდენადაც ეს არის კონკრეტული აქტივობების შედეგი. პროგრამის ხელმძღვანელები დაეთანხმნენ, რომ უფრო სათანადო სახელს შეურჩევდნენ პროგრამას, კერძოდ „სამოქალაქო ინჟინერიას“.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა შედგება სავალდებულო საგნებისგან (28 კრედიტი), სპეციალობის სავალდებულო საგნებისგან (188 კრედიტი) და არჩევითი სასწავლო კუსებისგან (24 კრედიტი). პირველ სემესტრში შესაძლებელია რამდენიმე კურსის არჩევა, მათ შორის „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციები“, „ტრადიციული სამშენებლო მასალები და ელემენტები“. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მათი სწავლება პირველ სემესტრში ნაადრევია. ეს კურსები სტუდენტებს აძლევენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვს გარკვეულ საბაზისო ცოდნას და გაცნობიერებას. პირველი სემესტრისთვის ასეთი ცოდნა შეუძლებელია.

საბაკალავრო პროგრამა არ სთავაზობს სტუდენტებს რაიმე სახის ხელით ხაზვის/ხატვის შესწავლას. პროგრამის თანახმად, არსებობს კურსი „ესკიზი“, რომელმაც სტუდენტებსუნდა შესთავაზოს არქიტექტურული ესკიზის ხელით აგება, რაც შესაძლოა იყოს ალტერნატივა. თუმცა ეს კურსი არჩევით საგნებს შორისაა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, თუკი ამ კურსს სპეციალობის სავალდებული საგნებში გადაიტანთ. იგივე ვრცელდება კურსზე „არქიტექტურული პერსპექტივი“ და „დიზაინი შშმ პირებისთვის“; ორივე ძალიან მნიშვნელოვანი დისციპლინაა თანამედროვე არქიტექტორისთვის.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად „არქიტექტურულ პროგრამები სტუდენტებს აძლევს ცოდნას ქართულ და მსოფლიო კულტურასა და ღირებულებებზე.“ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა რაიმე კურსი, რომელიც შეიცავს საქართველოს არქიტექტურის ისტორიას. (სამაგისტრო პროგრამა მოიცავს კურსს „ტრადიციული ქართული საბინაო მშენებლობა“, თუმცა ეს კურსი არ მოიცავს საქართველოს ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიას). მოცემულია „არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის“ სამი კურსი, სადაც ქართული კომპონენტი არ არის ნახსენები. ვფიქრობთ, რომ საქართველოში ნასწავლ და განათლებულ არქიტექტურს უნდა ჰქონდეს ფართო ცოდნა ამ ქვეყნის კულტურასა და არქიტექტურაზე.

კურსები „არქიტექტურული პროექტი 1-7“ წარმოადგენს მთავარ პროფესიონალურ სტუდიურ სამუშაოს საბაკალავრო პროგრამისთვის. ამ საგნების სილაბუსებიდან არ ჩანს თუ რა სახის პროექტები იქმნება აღნიშნული კურსების მსვლელობისას. პროექტის ტიპი და მასშტაბიც არ არის განსაზღვრული. ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მათ მოგვიანებით განსაზღვრავენ.

ზოგიერთ კურსზე (არქიტექტურული პროექტი 5), ძირითად ლიტერატურად გამოიყენება თურქულ ენოვანი წიგნები. ეს მიუღებელია იმ უნივერსიტეტისთვის, სადაც სწავლების ენა ინგლისურია.

არასათანადო ლიტერატურა გამოიყენება შემდგომ საგნებში: „ესკიზი“, „არქიტექტურული პერსპექტივა“, „არქიტექტურა და ხელოვნების ისტორია 2“, „არქიტექტურის კონცეფციები“, „შენობების იზოლაცია“.

„ურბანული დაგეგმარებისა და ურბანული დიზაინის პრინციპების“ კურსი წინაპირობად განსაზღვრავს „კომპიუტერული დიზაინი 2“ საგანს, რაც არ არის შესაბამისი ამ საგნისთვის.

კურსი „დარაიონების კანონის ძირითადი პრინციპები“ მიზნად ისახავს არქიტექტურული და მიწის მოხმარების კანონმდებლობისა და ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნის მიცემას. თუმცა არაფერია მოცემული დაგეგმარების ქართულ პრინციპებზე. გარდა ამისა, არ მოიპოვება კურსი არქიტექტურის პროგრამაში, რომელიც სტუდენტს აწვდის ცოდნას თანამედროვე სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობის (განკარგულება #41) შესახებ, რისი გამოყენებაც სავალდებულოა საქართველოში შენობების დასაგეგმად და დიზაინის შესაქმნელად. თუკი არქიტექტურული პროექტების კურსი უზრუნველყოფს ამ ცოდნას, ეს მითითებული უნდა იყოს სილაბუსში.

კურსი „ინტერიერის დიზაინი“ - ამ საგნის სილაბუსის შინაარსი არ ემთხვევა მის სახელს.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგება 120 კრედიტისგან (ECTS). იგი მოიცავს სავალდებულო და არჩევით მოდულებს; სტაჟირება და სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო მოდულებია. სავალდებულო მოდულები შეადგენს 116 კრედიტს. არჩევითი მოდული არის 4 კრედიტის ოდენობის და 4 კურსისგან შედგება, თითოდან სტუდენტმა 1 კურსი უნდა აირჩიოს. პროგრამის დასასრულებლად საჭირო სამაგისტრო ნაშომი შეადგენს 30 კრედიტს, სამაგისტრო ნაშომი (MSC)6 კრედიტს და სტაჟირება 3 კრედიტით არის შეფასებლი.
არქიტექტურაში სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები, თუ როგორი უნდა იყოს ნაშრომის საბოლოო სახე (რა სამუშაო უნდა ჩატარდეს გარდა ქაღალდზე დამყარებული კვლევისა და მისი წერილობითი ანალოგისა) მის თეორიულ ნაწილთან ერთად. არქიტექტურის დარგში თეორიული კვლევა ვერ იარსებებს რეალური პროექტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას აკლია ძირითადი ასპექტები, რომლებიც სავალდებულოა კრეატიული დიზაინერისთვის და იმ სტუდენტისთვის, რომელსაც უნდა განუვითარდეს სივრცითი აზროვნება.
ნაშრომის სილაბუსი (საბაკალავრო და სამაგისტროსთვისაც) საჭიროებს შესწორებას და/ან პროგრამას უნდა ჰქონდეს მეტი სავალდებულო საგანი, რომელიც შეეხება შემოქმედებითი აზროვნების გაუმჯობესებას.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ორი კომპონენტისგან - კვლევითი ნაწილი და პროექტი, ეს ჯამში შეადგენს 30 კრედიტს. თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს მხოლოდ ჩვეულებრივ ანალიზს, რომელიც საჭიროა დიზაინის პროექტის წამოსაწყებად. კვლევა ასე არ განისაზღვრება საერთაშორისო დონეზე. ამ კომპონენტს ნამდვილად სჭირდება დამატებითი გაუმჯობესება და განვითარება.

დიზაინის კურსების სილაბუსებიდან არ ჩანს, რომ სტუდენტები პროექტებს ამზადებენ. სტუდენტი იღებს თეორიულ ცოდნას, პრაქტიკული კომპონენტის გარეშე. ეს დადასტურდა გასაუბრებების დროს. დასახელებული კვალიფიკაციების მისაღწევად, კურსის შინაარსი უნდა მოიცავდეს დიზაინის კომპონენტებს. ეს გადამწყვეტია იმისათვის, რომ დაეხმაროს სტუდენტს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში, ეს მას ასევე დაეხმარება იმუშაოს ახალ, არაპროგნოზირებად და მულტიდისციპლინურ გარემოში.

კურსები, როგორებიცაა სამშენებლო ინჟინერია, ტექნოლოგია, სამშენებლო ფიზიკა, ენერგია, ისტორია და არქიტექტურის ისტორიის სემინარები არ არის საკმარისად წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო გეგმა უფრო მეტად უნდა იყოს აგებული კვლევაზე და მას ასაზრდოებდეს არსებული კვლევა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

(მაგისტრატურა). ურბანული დაგეგმარების დარგში (არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამა) მხოლოდ სამი კურსია შემოთავაზებული. კურსები -1. კვარტლები; 2. დრო- განათება-ფერი-მასალა და ტექსტურა ურბანულ სივრცეში; 3. ძველი ურბანული სივრცეების აღდგენა; და ისინი ეუფლებიან არქიტექტორის მაგისტრის ხარსიხს მშენებლობისა და სტრუქტურული არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სპეციალობით;

ადგილზე ვიზიტის დროს, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი არ იყო გამოქვეყნებული უსდ-ს ვებ-გვერდზე.

პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია ქართულ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე.

რამდენადაც ეს იყო კომპინირებული ინსტიტუციური/პროგრამების შეფასება, სწორი იქნება თუკი აბსუ თავის პროგრამებს შეაფასებინებს ABET-ს ან მსგავს სააგენტოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის პერსონალთან, ადგილზე ვიზიტის დროს.
- http://avrasyabatumi.ge/

რეკომენდაციები:

- „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამას უნდა გადაერქვა სახელი; მაგალითად -“სამოქალაქო ინჟინერია“.
- შემდგომი კურსები უნდა გადაიტანოთ სპეციალობის სავალდებულო სწავლების სექციაში: „ესკიზი“, „არქიტექტურული პერსპექტივა“, „დიზაინი შშმ პირებისთვის“;
- ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის კურსი უნდა დაემატოს სპეციალობის სავალდებულო საგნებს;
- საქართველოს დაგეგმარების კანონმდებლობა ინტეგრირებული უნდა იყოს კურსში „დარაიონების კანონის ძირითადი პრინციპები“;
- თურქული ლიტერატურა უნდა შეიცვალოს ინგლისურით, სადაც შესაძლებელია.
- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ მთავარი როლი პროგრამის სწავლის შედეგების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენაში ;
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის გამოქვეყნება უსდ-ს ვებ-გვერდზე;
- სასწავლო გეგმა უნდა დარეგულირდეს პროგრამის ამოცანებსა და მიზნებზე დაყრდნობით;
- დაამყარეთ კონტაქტი იმ დაწესებულებთან ან ჯგუფებთან, რომლებიც კვლევაზე მუშაობენ. მოიწვიეთ ისინი პროგრამაში, შეიმუშავეთ შესაძლებლობები მაგისტრანტებისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ და შეძლონ მუშაობა საკვლევ თემებზე.
- პროგრამის განვითარების ფაზაში მოიწვიეთ პროფესორები, სტუდენტები და დაინტერესებული მხარეები;
- უნდა მომზადდეს მისაღწევი ეტაპების (ინდიკატორების) რუკა. ეს დაეხმარება სტუდენტს, გაიგოს თავისი თანმიმდევრული ნაბიჯები და საჭიროებები;
- სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ასეთი საერთაშიროსო ამბიციები აქვს, უნდა ეყრდნობოდეს კვლევის მტკიცე საფუძველს. კვლევის საფუძველი ამჟამად არ მოიპოვება და პირველ რიგში, საჭიროა მისი შემუშავება.
- სამაგისტრო პროგრამაზე დაამატეთ მეტი არჩევითი კურსი.

რჩევები:

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, მოცემული კურსები გადაიტანოთ შემდგომ სემესტრებზე: „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციები,“ „ტრადიციული სამშენებლო მასალები და ელემენტები. ამ საგნებისთვის მე-5-მე-6 სემესტრები იქნება შესაფერისი.

- პროექტის ტიპები და მასშტაბები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კურსებისთვის „არქიტექტურული პროექტი 1-7“.

- სასწავლო პროგრამები უნდა შეაფასოს ABET-მა ან სხვა მსგავსმა სააგენტომ

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

o x არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფისთვის რთული იყო აზრის გამოტანა სტანდარტის ამ კომპონენტზე, რადგან არ გვაქვს სათანადო მოსაზრებები სტუდენტების მხრიდან. უნივერსიტეტში ჯერ არ მიუღიათ სტუდენტები. ამ სტანდარტის შესაბამისობა, როგორც წესი, მოწმდება ხელახალი აკრედიტაციის პროცედურაზე, მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს რამდენიმე წლის განმავლობაში.

სწავლის შედეგების შეფასების კანონის შესაბამისი, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა, რომელსაც აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას, ამ სიტუაციის გამო, შემოწმდა მხოლოდ ქაღალდზე არსებული სამუშაოთი.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (45-ე მუხლი, სტუდენტთა უფლებები)- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, სტუდენტების ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს სათანადო პროცედურები.

აბსუ განმარტავს, რომ მთელი პროცედურა დეტალურად გაწერილია თვითშეფასების ანგარიშის 57-60 გვერდებზე. აბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საგამოცდო პროცესს ჩაატარებს საგამოცდო ცენტრი. უნივერსიტეტს აქვს საგამოცდო ცენტრი, რომლის მიზანია, შექმნას ერთიანი შიდა საგამოცდო სისტემა, რომელიც სტუდენტებს უზეუნველყოფს მათი უნარების და კომპეტენციების გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი შეფასებით, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ცენტრი პასუხისმგებელია გამოცდის შედეგების დროულ გამოქვეყნებაზე. იგი პასუხისმგებელია გამოცდების საკითხების კონფიდენციალურობაზე, საგამოცდო საკითხებისთვის ელექტრო ბანერების შექმნაზე.

სტუდენტთა შეფასების თითოეულ ფორმაში მითითებული უნდა იყოს კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, ეს უნდა გაიწეროს აკადემიური პორგრამის კომპონენტის სილაბუსში. შუალედური გამოცდის კომპეტენციის მინიმალური ზღვრის ჯამი და ფინალური შეფასების მაქსიმალური ქულა არ უნდა იყოს 51-ზე ნაკლები, ხოლო დასკვნითი შეფასების კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

ექსპერტთა ჯგუფის მთავარი კომენტარი ისაა, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის არქიტექტურის სასწავლო პროგრამებზე სტუდენტების შეფასება ვერ მოხდება შეფასების ჩვეული გზით, როგორებიცაა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის კურსები და სილაბუსები და წაიკითხა, რომ სტუდენტები მიიღებენ კურსს სახელად „დრო-განათება-ფერი-მასალა და ტექსტურა ურბანულ

სივრცეებში“- აქედან შეიძენენ ცოდნას - სივრცითი ცვლილებების ანალიზი და შედარება ისტორიულ პროცესებში. გაურკვეველია, თუ როგორ მოხდება მათი შეფასება - არ არის პროექტის აღწერა, მხოლოდ თეორიის და ტესტის შედეგებია; კურსი სახელად „კვარტლები“ - თემა საინტერესოა, თუმცა შეფასება უცნაურია- აქაც ტესტებია; „ძველი ურბანული სივრცეების აღდგენა“- აქაც ბუნდოვანია პროექტის დავალება; ასეთი ტიპის განაცხადებით ექსპერტთა ჯგუფი მიდის დაკსვნამდე, რომ პროგრამა არ მოამზადებს სტუდენტებს უმაღლესი განათლების მეორე ციკლის სწავლის შედეგებისთვის. არსადაა დამაჯერებლად დემონსტრირებული, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტები შეძლებენ იმუშაონ ახალ, არაპროგნოზირებად და მულტიდისიპლინურ გარემოში, შეძლებენ მოიძიონ ახალი გამოსავალი რთული პრობლემებისთვის, გამოიყენონ რა უახლესი კვლევითი მეთოდები და მიდგომები. არ არის იმის სამხილი, რომ სტუდენტები შეძლებენ კვალიფიციური კვლევის ჩატარებას. არ არის ნაჩვენები, რომ სტუდენტებს შეუძლიათ სტრატეგიული გეგმის მომზადება მაღალ დონეზე, არგუმენტების და კვლევის მეთოდების მომზადება პროფესიონალურ საზოგადოებაში საქართველოსა და უცხოეთში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

დანართი 47- აბსუ-ს აკადემიური პროცესის მართვის წესი

დანართი 48- საგამოცდო ცენტრის დებულება

აბსუ- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგი.

აბსუ - საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა.

რეკომენდაციები:

- შემოიღეთ არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების სტუდენტების შეფასების პროცედურა.
- გადახედეთ პროგრამის შინაარსსა და სილაბუსებს; მოახდინეთ მათი რაციონალიზება ისე, რომ მათი მიღწევა გაზომვადი იყოს და მოექცეს სასწავლო პროგრამის ჩარჩოში. განსაზღვრეთ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მისანიჭებელი კრედიტები.
- გადახედეთ კრედიტების მინიჭების სისტემას.
- გააუმჯობესეთ კვლევითი შესაძლებლობები კვლევით ინსტიტუტებთან და ამ დარგის ჯგუფებთან თანამშრომლობით.
- შეთავაზებული დიზაინის კურსები ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ დიზაინზე, ისევე როგორც საუნივერსიტეტო კვლევაზე. კურსები რელევანტური უნდა იყოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგების რელევანტური.

- პროგრამის განვითარების გუნდმა ხელახლა უნდა გადახედოს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურისთვის რელევანტური უნდა იყოს.
- გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტორის პროფესია რეგულირებადი პროფესიაა ევროკავშირის - ევროპული დირექტივის ავტომატური აღიარებით.

რჩევები:

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, აბსუმ გადახედოს და შეისწავლოს ევროკავშირის კანონმდებლობა: 2013 წლის PQD-ში (პროფესიონალური კვალიფიკაციების დირექტივა), შესწორდა 2013/55/EU. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32013L0055&from=EN. იგი შეიცავს არქიტექტორების განათლების სწავლის შედეგების აღწერის 11 „ცნობილ“ პუნქტს.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.

o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. პერსონალის მართვის პოლიტიკა უნდა მოცავდეს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებს, ასევე ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპებს, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულთა სამუშაოს შეფასების შედეგებს. უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები პერსონალის მართვის პროცესში. პერსონალი უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

აბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა ძალიან ზოგადია. ეს დოკუმენტი შეიცავს მხოლოდ შემდგომ ინფორმაციას:

ა) აბსუ ორიენტებულია მოიზიდოს კვალიფიციური პერსონალი. თუმცა აკლია ის მექანიზმები, რომლითაც აბსუ გეგმავს ამ მიზნების მიღწევას;

ბ) პერსონალის მუშაობის შეფასების მიზნები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, აბსუ-მ უნდა ჩამოაყალიბოს პერსონალის მუშაობის შეფასებისთვის საჭირო მექანიზმები და პროცედურები.

გასაუბრების დროს გაიკრვა, რომ ადმინისტრაციულ პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია მოსამზადებელი კურსების შესახებ, რომლებიც ტარდებოდა მათი პროფესიული განვითარებისთვის. მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე თანამშრომელი იყო ტრაპიზონში და ტრენინგი ჩატარდა ადმინისტრაციულ პროცესებზე. ადგილზე ვიზიტის დროს, აბსუ-მ მოგვაწოდა დამატებითი დოკუმენტაცია ტრენინგების შესახებ, რომლებიც ჩატარდა ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტის პროგრამებისა და სილაბუსების განვითარება
- პერსონალის მართვა და შრომის კანონი
- პროექტების წერისთვის საჭირო უნარები
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი
- მართვის ქოუჩინგი
- დაწესებულების ზოგადი მენეჯმენტი

ამ ტრენინგების აღწერაში მოცემულია ინფორმაცია ტრენინგის მიზანზე, სამიზნე ჯგუფზე, მოსალოდნელ შედეგებზე, ტრენერზე, ტრენინგის ხანგრძლივობაზე. „სამწლიანი სამოქმედო გეგმის 2018-2020 თანახმად“, უსდ გეგმავს, მხარი დაუჭიროს აკადემიური პერსონალის პროფესიულ და

კარიერულ განვითარებას და ხელი შეუწოს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ გადამზადებას. უფრო კონკრეტულად, გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ უნივერსიტეტის განზრახვაა, გადაამზადოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რათა გაუმჯობესოს მათი ინგლისური ენის ცოდნა. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ აბსუში სწავლების მიზანია ინგლისური ენის უკეთ შესწავლა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაზე დაკვირვების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მენეჯერი (ვინც პასუხისმგებელია სტუდენტების ელექტრონული ბაზის მართვაზე) ვერ იყენებდა ბაზას პროგრამისტის დახმარების გარეშე. რეკომენდებულია ტრენინგების ჩატარება ამ მიმართულებითაც.

„აბსუ-ს მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის“წესის თანახმად, აბსუ-ში ტარდება სამი ტიპის გამოკითხვა. ორი მათგანი ეხება სამუშაო გარემოს და მეორე უკავშირდება პერსონალის მუშაობას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, კითხვარებს ავსებენ მხოლოდ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ისინი აფასებენ თანამშრომელთა მუშაობას. უნდა აღინიშნოს, რომ IT უზრუნველყოფის სამსახურთან, უსაფრთხოების სამსახურთან, საფინანსო სამსახურთად, აუდიტის სამსახურთან და შესყიდვების სამსახურთან შეხვედრისას, არცერთმა არ იცოდა შეფასების სისტემის შესახებ. ზოგიერთმა თქვა, რომ ისინი თანამშრომლებს აკვირდებოდნენ მუშაობის პროცესში და აფასებდნენ, ყოველდგვარი კრიტერიუმების გარეშე. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ არ მოქმედებს პროცედურა და კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების სისტემას მხოლოდ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იცნობდა. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვერ შეძლო პასუხი გაეცა აკადემიური პერსონალის ატესტაციის შესახებ, რასაც არეგულირებს აბსუ-ს დებულება. მან თქვა რომ ეს მიმდინარე პროცესი იყო.

„აბსუ-ს მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის“ შესახებ დოკუმენტში ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასების შედეგები (უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაერკვია, როგორ ფასდებიან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები) ნაწილობრივ დაკავშირებულია წახალისების სისტემასთან. დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ ინფორმირებულები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და რეგულაციებზე.

აბსუ-ს არ აქვს პროცედურები, რომელებიც უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლების ინტეგრირებას სამუშაო გარემოში და მათ ეფექტიან ჩართულობას სამუშაო პროცესში; ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა ვერ აღწერა ინტეგრირების პროცესი.

აბსუ-მ დაამტკიცა აკადემიური პერსონალის აფილირების პირობები, ხელშეკრულებისა და აფილირების პირობები, აკადემიური პერსონალის და სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები. აბსუ-ს აკადემიური პერსონალი ჩაითვლება პირად, რომელიც ხელს მოაწერს აბსუ-სთან ხელშეკრულებას. ინტერვიუს შედეგებში ჩანს, რომ აფილირებულმა პერსონალმა იცის, რომ მათ აქვთ საათობრივი ანაზღაურება, მაგრამ "აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულების" თანახმად, დამსაქმებელმა უნდა გადაუხადოს დამსაქმებელს შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ , ყოველთვიურად.

აბსუ-მ შეიმუშავა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასების წესი. ამ წესის თანახმად, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის არსებობს შეფასების ერთნაირი კითხვარები. შეფასების შედეგების ანალიზება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო და შემდეგ რექტორი იღებს გადაწყვეტილებას პერსონალის წახალისების შესახებ. ეს პროცედურა არ არის გამჭვირვალე და ბუნდოვანია, თუ როგორ უკავშირდება შეფასების შედეგები წახალისების სისტემას. მაგალითად, არ არის განსაზღვრული, თუ რა არის საკმარისი წახალისებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო კვლევითი და ინოვაციური სამსახურის უფროსთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა, როგორ მექანიზმებს და კრიტერიუმებს იყენებდნენ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში. ზემოთ ხსენებული ერთეულის უფროსმა გვიპასუხა, რომ ისინი მუშაობენ ამ საკითხზე და ეს იყო მიმდინარე პროცესი. "აბსუ-ს ხარისხის შეფასების მექანიზმისა და კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების შეფასების" შესახებ წესის თანახმად, პრორექტორი ჩართულია აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბსუ-ს ამჟამინდელი სტრუქტურის თანახმად, უნივერსიტეტს არ აქვს პრორექტორის პოზიცია.

"აბსუ-ში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის" თანახმად, კანდიდატი ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე ირჩევა 1 წლის ვადით (მუხლი 2). უნდა აღინიშნოს, რომ "უმარლესი განათლების შესახებ" (მუხლი 35) კანონის თანახმად, ასისტენტ-

პროფესორის პოზიციაზე შეიძლება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირის არჩევა 3 ან 4 წლის ვადით. ასისტენტის პოზიციაზე შეიძლება დოქტორანტის არჩევა 3 ან 4 წლის ვადით. გასაუბრების დროს, იურისტმა განაცხადა, რომ იგი იცნობდა "უმაღლესი განათლების" შესახებ კანონს და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული დებულება კერძო უნივერსიტეტისთვის არ წარმოადგენდა სამართლებრივ ვალდებულებას. ხაზი უნდა გაესვას, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 35-ე მუხლის "აკადემიურ პოზიციაზე არჩევის და დანიშვნის პირობების" თანახმად (მუხლი 12), ეს სავალდებულოა კერძო უნივერსიტეტებისთვისაც. მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აირჩიეს 1 წლით.

"აბსუ-ში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის" თანახმად, კონკურსის გამარჯვებულად (აკადემიური პოზიციისთვის) ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტს. უსდ-მ არ განსაზღვრა იმ კანდიდატების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკურსში. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით (მუხლი 34) აკადემიური პოზიცია პირმა შეიძლება დაიკავოს მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. კონკურსის ოქმები არ შეიცავდა ინფორმაციას შეფასების პროცესის, ქულების შესახებ. უსდ-ს არ გააჩნია აკადემირუი პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ კანდიდატების განაცხადები, რომლებიც კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას, არ იყო დარეგისტრირებული.

აღსანიშნავია, რომ ასისტენტ-პროფესორად შეირჩა ერთ-ერთი მასწავლებელი და მას არ აქვს დოქტორის ხარისხი. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის თანახმად, ამ პოზიციაზე შეიძლება იმ პირის დანიშვნა, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ზემოთ ხსენებული კანონის თანახმად, არსებობს კიდევ ერთი გზა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია დოქტორის ხარისხის გარეშე დაიკავოს ეს პოზიცია, მაგრამ ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაციები უნდა დადასტურდეს მისი პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური ტრენინგით და/ან გამოცემებით. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანების თანახმად, კანდიდატი ვალდებული იყო წარედგინა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა პირის გამოცდილებას. ექსპერტთა ჯგუფმა სთხოვა აბსუ-ს, რომ წარმოედგინა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და ასეთი დოკუმენტები არ აღმოაჩნდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან საუბრისას, ექსპერტთა ჯგუფმა მას კითხა, იყო თუ არა ვინმე შერჩეული დოქტორის ხარისხის გარეშე. HR უფროსმა განაცხადა, რომ არავინ იყო შერჩეული პროფესიული გამოცდილების გარეშე.

კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანების თანახმად, კანდიდატი ვალდებული იყო წარედგინა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში ასეთი სერთიფიკატები არ მოიძებნება, გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აბსუ-ს სთხოვა წარმოედგინა სერთიფიკატები, თუმცა ისინი არ მოუწოდებიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების დროს, აკადემიური პერსონალის უმეტესობამ ვერ შეძლო კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე და გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კონკურსი თურქულ ენაზე ჩატარდა. აკადემიური პერსონალის დიპლომები, რომლებიც აბსუ-მ მოგვაწოდა თურქულ ენაზეა, მხოლოდ რამდენიმე მათგანია ორივე - ინგლისურ და თურქულ ენებზე. არცერთი მათგანი არ იყო ნათარგმნი ქართულ ენაზე. ხაზი უნდა გაესვას, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უცხოურ განათლებას სჭირდება აღიარება. უცხოური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღიარების ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განსაზღვრავს არის თუ არა უსდ-ს მიერ გაცემული დიპლომი აღიარებული და არის თუ არა უცხოური კვალიფიკაცია საქართველოს კვალიფიკაციებთან შესაბამისობაში. ექსპერტთა ჯგუფმა სთხოვა აბსუ-ს წარედგინა აღიარების დოკუმენტები. აბსუ-მ წარმოადგინა შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის (1992 წლის, ხელმოუწერელი), რომელიც არ იყო კავშირში ზემოთ ხსენებულ საკითხთან.

უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ აკადემიური პერსონალის ყველა წევრი ამჟამად ტრაპიზონის ავრასიის უნივერსიტეტში მუშაობს. მათ განაცხადეს, რომ თუკი აბსუ მოიპოვებს ავტორიზაციას, ისინი გადავლენ ბათუმში.

"მოწვეული პერსონალის არჩევის" შესახებ წესის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ირჩევს მოწვეულ პერსონალს. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ შეძლო ინფორმაციის მოწოდება შერჩევის პროცედურის შესახებ. მას არ მიუღია მონაწილეობა შერჩევის პროცესში.

უსდ-მ განსაზღვრა აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარმოადგინა სამუშაოს აღწერები. "აბსუ-ში აკადემიური

თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის" დოკუმენტის თანახმად, კანდიდატმა, რომელსაც სურს აკადემიური პოზიციის დაკავება, უნდა წარადგინოს ინგლისური ენის ცოდნის ან ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი. აკადემიური პერსონალის სამუშაო აღწერაში ნათქვამია, რომ მათ უნდა იცოდნენ ინგლისური ენა. გასაუბრების დროს, HR სამსახურმა დაამოწმა, რომ აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (C1 დონე) ან რაიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილებას. პირადი საქმეების გადახედვითა და გასაუბრებების შედეგად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობამ არ წარადგინა სერთიფიკატი და ვერ შეძლო ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფთან კომუნიკაცია თურქული ენის თარჯიმნის გარეშე. გარდა ამისა, რესპოდენტებმა (აკადემიურმა პერსონალმა) ახსენეს, რომ მათ არ აქვთ ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილება და ისინი ასწავლიან თურქულ ენაზე. გარდა ამისა, მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს რეალური ენობრივი ბარიერი აქვს ინგლისურად კომუნიკაციისას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით იგივე პრობლემები აქვს მოწვეულ პერსონალსაც. მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ მოიცავს ინგლისური ენის ცოდნას მაშინ, როცა პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე.

დამხმარე პერსონალის, მათი ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ აბსუ-ს წესის თანახმად (მუხლი 2), ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთმა ადმინისტრაციულმა თანამშრომელმა არ იცოდა სახელმწიფო ენა (მაგალითად ბიბლიოთეკის უფროსმა). ადმინისტრაციულმა პერსონალმა, რომლის ვალდებულებაა უცხოელ სტუდენტებთან და პერსონალთან კომუნიკაცია, ვერ დაადასტურა ინგლისური ენის ცოდნა. საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეიცავს ინგლისური ენის კომპეტენციას (მაგალითად, იგი საჭიროა მედიკოსის პოზიციაზე) ზოგიერთ სამუშაო აღწერაში ან ნათქვამია, რომ მხოლოდ სასურველია (რადგან პრობლემა იქნება პერსონალის შერჩევა - ასე განმარტა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა გასაუბრების დროს).

ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელისა და მენეჯერის სამუშაოს აღწერაში რამდენჯერმე წავაწყდით სასწავლო პროგრამების უჩვეულო ჩანაწერს, მაშინ, როცა სასწავლო უნივერსიტეტი არ გეგმავს ამ პროგრამების ჩატარებას. გარდა ამისა, უმჯობესი იქნება, თუკი პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერა განსაზღვრავს ამ პოზიციისთვის საჭირო პროფესიულ ცოდნასა და უნარებს დეტალურად.

საწყისი ეტაპისთვის, აბსუ შესაძლოა სირთულეებს წააწყდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დასაქმებისას ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა
2. შპს ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობის მონიტორინგის წესი;
3. ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
4. აკადემიური თანამდებობის ფასაკაცვებლადკონკურსის ჩატარების წესი შპს ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტში.
5. დამხმარე პერსონალის, მათი ანაზღაურების ოდენობისადა პირობების შესახებ აბსუ-ს წესი.
6. მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი;
7. "კმაყოფილების კვლევის კომპლექსური გამოკითხვა (ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი);
8. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
9. აკადემიური პერსონალის აფილირების წესები.
10. სამუშაოს აღწერები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
11. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
12. მოწვეული სასწავლო პერსონალის შერჩევის წესი;
13. პერსონალის პირადი საქმეები;
14. კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
15. ოქმები;
16. გასაუბრებები;

17. სამოქმედო გეგმა;

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.
- შეიმუშავეთ ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძრვანელების შეფასებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები.
- შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის კონკურსის გამჭვირვალე და სამართლიანი წესები;
- შეიმუშავეთ პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- ჩამოაყალიბეთ პერსონალის ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმები;
- პროცედურები უნდა იყოს ოფიციალური და დოკუმენტურად დასაბუთებული (მაგ: ახლადაყვანილი თანამშრომლის ჩართვა სამუშაო გარემოში);
- მოიზიდეთ კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რათა უზრუნველყოთ სტუდენტების სამართლიანი შეფასება და მომსახურება, ასევე უზრუნველყოთ სასწავლო პროცესის სათანადო მსვლელობა ინგლისურ ენაზე.
- დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდეთ ინფორმაცია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სხვა წესების შესახებ.

რჩევები:

- უმჯობესი იქნება, თუკი უნივერსიტეტი ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი და რეალიზებული ტრენინგ კურსების შესახებ იმისათვის, რომ გაზარდოს პერსონალის ცნობიერება და ტრენინგებში მათი ჩართულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს დატვირთვის სქემა - აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის - და მეთოდოლოგია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რიცხვის განსაზღვრის მიზნით, აკადემიურ პროგრამებთან მიმართებით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "აკადემიური პერსონალის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პრინციპები დამტკიცდა აბსუ-ს რექტორის ბრძანებით." აკადემიური პერსონალის მაქსიმალურ რაოდენობას უნივერსიტეტი განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის გათვალისწინებით, აკადემიური პერსონალის ანაზღაურების და საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი აკადემიური საათების საერთო რაოდენობის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად, პროგრამის მახასიათებლების გათვალისწინებით; პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, უნივერსიტეტმა და ფაკულტეტმა მხედველობაში მიიღო თითოეულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, ისევე

როგორც პროგრამის თავისებურებები. ამგვარად, როდესაც უნივერსიტეტი დაიწყებს სრულყოფილად ფუნქციონირებას, აკადემიური პერსონალოს რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული დეტალები იქნება მკაფიო და დოკუმენტი გაუმჯობესდება მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილების მეშვეობით, სადაც ჩვენ ასევე გავითვალისწინებთ არსებული სტუდენტების რაოდენობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას."

ზემოთ ხსენებული დოკუმენტის თანახმად, აბსუ-ს არ აქვს გამჭვირვალე და მკაფიო მეთოდოლოგია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვირსთვის აკადემიურ პროგრამებთან მიმართებაში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "აკადემიური/სამეცნიერი/მოწვეული პერსონალის საქმიანობა და სამუშაო დატვირთვა რეგულირდება აბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერი/მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესის მიხედვით. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესის თანახმად, აფილირებული პროფესორის აკადემიური დატვირთვა შეადგენს სულ მცირე 8 საათს და საკონსულტაციო სამუშაო დატვირთვას; აფილირებული ასოცირებული პროფესორის სამუშაო დატვირთვა შეადგენს სულ მცირე 10 საათის სალექციო და საკონსულტაციო დატვირთვას; აკადემიური დატვირთვა აფილირებული ასისტენტი პროფესორის შემთხვევაში შეადგენს სულ მცირე 12 სალექციო საათს და საკონსულტაციო დატვირთვას; აფილირებული ასისტენტის აკადემიური სამუშაო დატვირთვა მოიცავს სულ მცირე 12 საათს სემინარს/პრაქტიკუმს და /ან სხვა სამუშაო დატვირთვას.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი არ იცნობდა ამ სქემას. გასაუბრების დროს, მათ ვერ შეძლეს აკადემიურ და სამეცნიერო სამუშაო დატვირთვის შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასწავლო უნივერსიტეტი, წელიწადში სულ მცირე, ერთხელ აფინანსებს აფილირებული აკადემიური პერსონალის ხარჯებს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებისთვის, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისთვის, საერთაშორისო პრეოქტებში და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებისთვის, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნებისთვის (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, თარგმანები, სტატიები დასხვა). გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიურ პერსონალს და სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის სამსახურის უფროსს ჰკითხა თუ რა კრიტერიუმებით აფინანსებს აბსუ ზემოთ ხსენებულ აქტივობებს. პერსონალმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია კრიტერიუმების შესახებ.

უსდ-ს აქვს პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რომელიც შეიცავს მხოლოდ აკადემიურ სამუშაო დატვირთვას (აკლია სხვა უნივერსიტეტებში სამუშაო დატვირთვა, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი ამჟამად ტრაპიზონის ავრასიის უნივერსიტეტის აკადემიურ პოზიციებს იკავებს), ინფორმაცია სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შესრულებითი და სხვა სამუშაო დატვირთვის შესახებ, აკადემიური პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, არ არის მასში მოცემული.

გარდა ამისა, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების და დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციული თანამშრომელი იმავდროულად იკავებს ადმინისტრაციულ პოზიციებს სხვა დაწესებულებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში
2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და პრინციპები;
3. შპს ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესი;
4. გასაუბრებები;
5. დატვირთვის სქემა;

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ ზუსტი სამუშაო დატვირთვის სქემა;

• ჩამოყალიბეთ აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალე წესი; • შეიმუშავეთ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის გამჭვირვალე მეთოდოლოგია. • აკადემიურ პერსონალს მიაწოდეთ ინფორმაცია მათი სამუშაო დატვირთვის შესახებ.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მეხუთე სტანდარტის ობიექტურად შეფასების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან გასაუბრება არ შემდგარა, რამდენადაც ეს ახალი უნივერსიტეტის შეფასებაა და ლოგიკურია, რომ მეხუთე სტანდარტის შეფასებისთვის საჭირო სამიზნე ჯგუფი არ მონაწილეობდა გასაუბრებებში. ავტორიზაციის ამ კრიტერიუმით მოთხოვნილი ინფორმაციის მოსაპოვებლად, კითხვების მთავარი სამიზნეები იყვნენ: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები ; სტუდენტების უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრი; საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის ცენტრი; სამდივნო; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; ფინანსური სამსახურის უფროსი; უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური; ენის სასწავლო ცენტრი; სასწავლო პროცესის მართვის უფროსი. ადგილზე ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილი დოკუმენტები მოიცავდა დიდი რაოდენობით ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის დანართების სახით. ეს დოკუმენტები სრულად შეამოწმა ექსპერტთა ჯგუფმა. თუმცა, 5.1 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ზოგიერთი დანართი მოწოდებული იყო მხოლოდ ქართულ ენაზე. აბსუ-ს საერთაშორისო პროფილზე დაყრდნობით, შემდგომი დოკუმენტები მოვითხოვეთ ადგილზე, ინგლისურ ენაზე: დანიშვნის რეგულაციები, სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება და განათლების აღიარება და ეთიკის კოდექსი. აღნიშნული დოკუმენტები დროულად მოგვაწოდეს. ამ დოკუმენტების შეფასების შემდეგ, სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ ისინი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აბსუ-ს ყველა აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინგლისურ და ქართულ ენებზე. თუმცა, ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი, რადგან უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ამ ეტაპზე არასრულყოფილია. (ვებ-გვერდის შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ სტანდარტში 7.0). სტუდენტის კონტრაქტი:

სტუდენტის კონტრაქტის ნიმუშის განხილვის შემდეგ (მოგვაწოდეს ადგილზე ვიზიტამდე), სამართლიანია იმის თქმა, რომ იგი შეესაბამება კანონმდებლობას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება, აბსუ-მ დამატებითი ინფორმაცია ჩასვას კონტრაქტში, რომელიც მომგებიანი იქნება ორივე მხარისთვის.

ა) სასწავლო ხელშეკრულების პუნქტი 4.6 აღნიშნავს, რომ მას ხელს მოაწერენ ყოველი წლის დასაწყისში. სასურველი იქნება, სწავლების მთელ პერიოდში ერთი ხელშეკრულების ქონა და სტუდენტების მიერ ყოველწლიურად ხელმოწერის თავიდან აცილება.
ბ) თუკი აბსუ შეადგეს ერთ კონტრაქტს მთელი სასწავლო პერიოდისთვის (8 სემესტრი ბაკალავრიატში და 4 სემესტრი მაგისტრატურაში) საერთაშორისო სტუდენტებისთვის უმჯობესი იქნება თუკი უკეთ განუმარტავენ კონტრაქტში გაწერილ პირობებს იმის თაობაზე, უფლებამოსილია თუ არა უნივერსიტეტი შეცვალოს/გაზარდოს სტუდენტის სწავლის საფასური, თუკი წლიური ინფლაცია ან ეროვნული ვალუტის დევალვაცია გადააჭარბებს x%-ს. (იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით ხელშეკრულების დადება ხდება ლარებში). ეს შედის აბსუ-ს ფინანსურ ინტერესებშიც.
გ) უმჯობესი იქნება, თუკი ეთიკის კოდექსის რამდენიმე მუხლი ნახსენები იქნება სტუდენტის კოტრაქტში, კერძოდ კი საკითხი პლაგიატის შესახებ, რაც აბსუ-ს დაეხმარება უფრო მეტად ინფორმირებულები ჰყავდეს სტუდენტები იმ პრობლემების შესახებ, რაც შეიძლება პლაგიატმა გამოიწვიოს.

ჩვენ გვწამს, რომ საგანმანათლებლო ოფისის მენეჯმენტის ოფისი განკუთვნილია იმისათვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოს გასაგები ინფორმაცია სტუდენტური კონტრაქტის ფარგლებში.

უნივერსიტეტს საჭიროა ჰქონდეს მექანიზმი სტუდენტების მხარდასაჭერად და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, დისციპლინარული კომიტეტის შეხვედრის დროს მათ მხარდასაჭერად, სტუდენტის მიერ რომელიმე წესის დარღვევის შემთხვევაში.

დისციპლინური კომიტეტი
როგორც ზემოთ ითქვა, მარეგულირებელი დოკუმენტები უნდა გააცნოთ სტუდენტებს. ყველამ უნდა იცოდეს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ და ყველა კარგად უნდა იყოს ინფორმირებული პლაგიატზე. კანონის დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში - ძირითადად პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების დროს, ეს საქმე შესაძლოა განიხილონ დისციპლინარულ კომიტეტში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვ.35, ქვეპუნქტი 2.3) სტუდენტები შეირჩევიან ამ კომიტეტის წევრებად და ამ ჯგუფის პასუხისმგებლობაა განიხილოს ხელთარსებული პრობლემები და მიიღოს დასკვნა. გადაწყვეტილებაში ბოლო სიტყვა რექტორს ეკუთვნის. საგანმანათლებლო პროცესის მართვის უფროსმა დაადასტურა, რომ პირველ ჯერზე, აბსუ-ს შეუძლია მისცეს გაფრთხილება, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსი შესაძლოა შეჩერდეს და/ან შეწყდეს. ცოტა გაუგებარი იყო, თუ ვინ დაიცავს ასეთი სტუდენტის ინტერესებს. აბსუ-ს წარმომადგენლებისგან მიღბული პასუხის თანახმად, კომისიის წევრი სტუდენტები საკმარისია სტუდენტების უფლებების დასაცავად. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, დისციპლინურ კომიტეტში და სტიპენდიების მისაღებად სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებით, ექსპერტთა პანელმა აბსუ-ს მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმების ან კონკრეტული მექანიზმების წარმოდგენა სთხოვა. როგორც სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სტუდენტები შეირჩევიან უმაღლესი ნიშნისა და / ან პორტფოლოის მიხედვით ან თავად რექტორის მიერ, შესაძლოა სხვა საშუალებებითაც, მაგრამ მათ არ გააჩნიათ დოკუმენტირებული კრიტერიუმი ან მექანიზმი. ამგვარი პასუხი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმი და ეს მეთოდოლოგია არ არის გამჭვირვალე და სამართლიანი. აუცილებელი ამ მექანიზმების წერილობით აღწერა და საჯარო ხელმისაწვდომა, როგორც ეს აღწერილია ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტში. ზემოაღნიშნული დოკუმენტები უნდა მომმზადდეს ინგლისურ ენაზე.
საგამოცდო ცენტრი:
საგამოცდო ცენტრი კარგად არის აღჭურვილი. მასში განთავსებულია დაახლოებით 25 კომპიუტერი, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ტიპის საგამოცდო მიზნებისასთვის არის შესაფერისი. რაც არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც CAD პროგრამებს იყენებენ, არ აძლევს ამ კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობას, ვინაიდან ეს კომპიუტერები ვერც კი შეძლებენ CAD პროგრამის ჩართვას (დეტალური ინფორმაცია, კომპიუტერების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სტანდარტში 7.0). ექსპერტთა პანელმა გამოავლინა, რომ ვიზიტის დროს არ არსებობდა არანაირი

მექანიზმი, რითაც სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიდნენ გამოცდების, სავარაუდო შეფასების, შეფასებაზე კომენტარის, შესაძლო დასაქმების ან სხვა ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშში და ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ აბსუ-ს ექნება სწავლების მართვის სისტემა (LMS), რომელიც ამჟამად ხემისაწვდომი არ არის. უფრო დეტალურად სწავლების მართვის სისტემის შესახებ იხილეთ ქვეკომპონენტში 5.2.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები; სტუდენტების უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრი; საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის ცენტრი; სამდივნო; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; ფინანსური სამსახური; უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური; ენის სასწავლო ცენტრი; სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი.

ადგილზე ვიზიტი. ყველა დოკუმენტი, რომელიც ვიზიტის განმავლობაში იქნა წარმოდგენილი.
თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტამდე წარმოდგენილი დანართები.
Aაბსუ-ს ამჟამინდელი ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტს საჭიროა, ჰქონდეს მექანიზმი სტუდენტების მხარდასაჭერად და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, დისციპლინარული კომიტეტის შეხვედრის დროს მათ მხარდასაჭერად, სტუდენტის მიერ რომელიმე წესის დარღვევის შემთხვევაში.
- ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ინტერნეტში გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე.
- უნივერსიტეტმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს იმ სტუდენტების შერჩევის მექანიზმები და კრიტერიუმები, რომლებიც შეძლებენ სტიპენდიის მიღებას. შემუშავდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეირჩევიან დისციპლინარული კომიეტისთვის და იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ ეკონომიკური საჭიროების მქონე სტუდენტების, როგორც ეს ნათქვამია თვითშეფასების ანგარიშში.

რჩევები:

- დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაემატოს სასწავლო ხელშეკრულებას:
ა) სასწავლო ხელშეკრულების პუნქტი 4.6 აღნიშნავს, რომ მას ხელს მოაწერენ ყოველი წლის დასაწყისში. სასურველი იქნება, სწავლების მთელ პერიოდში ერთი ხელშეკრულების ქონა და სტუდენტების მიერ ყოველწლიურად ხელმოწერის თავიდან აცილება.
ბ) თუ აბსუ მომაზადებს სასწავლო ხელშეკრულებას მთელი სასწავლო პერიოდისათვის (8 სემესტრი საბაკალავრო პროგრამებისათვის და 4 სემესტრი სამაგისტრო პროგრამებისათვის), უცხოელ სტუდენტებისათვის უკეთესი იქნება, მკაფიოდ გაიაზრონ არის თუ არა აბსუ უფლებამოსილი შეცვალოს / გაზარდოს სწავლების საფასური თუ წლიური ინფლაცია და ეროვნული ვალუტის დევალვაცია გადააჭარბებს X%-ს. (იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით ხელშეკრულების დადება ხდება ლარებში). ეს, ასევე, არის აბსუ-ს ფინანსური ინტერესების ფარგლებში.
გ) სტუდენტებისათვის შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ ხელშეკრულებაში ეთიკის კოდექსის გარკვეული ნაწილები იყოს აღნიშნული - განსაკუთრებით პლაგიატის საკითხი - რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს, რომ სტუდენტები ჰყავდეს უკეთ ინფორმირებული იმ პრობლემების შესახებ, რასაც პლაგიატი იწვევს.
- იმდენად რამდენადაც, ბათუმში რამდენიმე უნივერსიტეტი არსებობს, სასურველი იქნება დაინერგოს სტუდენტების ომბუდსმენი სტუდენტების უფლებების გასაკონტროლებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის და ინტერვიუების დროს შეძენილი ინფორმაციის თანახმად, პანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების მხარდაჭერა ეყრდნობა ფორმალურ ურთიერთქმედებას სტუდენტებსა და აკადემიურ / ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. აბსუ-ს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული განსაკუთრებული საჭიროებების დროს ვის უნდა მიმართოს სტუდენტმა (თვითშეფასების ანგარიშის თანახმად) - თუ მათ სჭირდებათ, მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა (ILP) მათ უნდა მიმართონ ფაკულტეტის დეკანს და მისი ბრძანებით, პროგრამის ხელმძღვანელს ევალება სასწავლო გეგმის შექმნა. თუ სტუდენტებს სურთ სტაჟირება, მაშინ მათ უნდა მიმართონ უწყვეტი სწავლისა და დასაქმების ცენტრს - თუ მათ კონკრეტული ინიციატივის დაფინანსება სურთ, მათ უნდა მიმართონ რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით. (თუმცა საფინანსო საკითხები ძირითადად გენერალურ მდივანს ეხება). საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის რექტორი იღებს. – აბსუმ ყველა სტუდენტს უნდა მიაწოდოს გზამკვლევი, რათა მათთვის ნათელი იყოს სტრუქტურა და ყველა პროცედურა, მათ შორის ფინანსური მექანიზმები სოციალურად დაუცველი სტუდენდეტის დასახმარებლად. ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ცხადია, რომ არ არსებობს გზამკვლევი, ერთგვარი ბროშურა - სტუდენტების სახელმძღვანელო ან ინფორმაციის გაცვლის შიდა სისტემა. ექსპერტთა მიერ დადებითი შეფასებოს შემთხვევაში, აბსუ იძლევა პირობას, რომ ავრასიის ტრაპიზონის უნივერსიტეტის მსგავს ინფორმაციის გაცვლის სისტემას დააფინანსებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აბსუს სტრუქტურის შესაბამისად, სტუდენტების მხარდაჭერის პასუხისმგებლობა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის არის დანაწილებული, რაც ამჟამად პირისპირ კომუნიკაციას ეყრდნობა. ვიზიტის განმავლობაში, ენის ბარიერი მთავარი სირთულე იყო. კერძოდ, უწყვეტი განათლება და დასაქმების ცენტრის უფროსს არ ქონდა ინგლისური ენის საკმარისი ცოდნა (ძირითადად, ენების სწავლების ცენტრის პროფესორი ასრულებდა თურქული ენიდან თარჯიმნის როლს). არქიტექტურის და საინჟინრო (სამშენებლო) ფაკულტეტის სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის ხელმძღვანელი არ ფლობს ინგლისურ ენას. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასევე არ ფლობენ ინგლისურ ენას. (ჩვენ ძირითადად ვსაუბრობდით ქართულად, რათა თვითშეფასების ანგარიშის ზოგიერთი თავისებურება გაგვეგო.)

ვებ-გვერდი და ონლაინ განათლების პლატფორმა, როგორც დამხმარე მექანიზმები სტუდენტებისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ, რომ სტუდენტებს ინსტიტუციების მიერ შეთავაზებული მომსახურებების ფართო სპექტრზე ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა. აბსუ-ს ვებ-გვერდი საჭიროებს განახლებას და როგორც უკვე აღინიშნა, იგი არ აქვეყნებს ძირითადი დოკუმენტების ინგლისურენოვან ვერსიებს. ასევე დოკუმენტების უმრავლესობა და ინფორმაცია ხელმიუწვდომელია.

ექსპერტთა ჯგუფს დაპირდნენ, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული კომპიუტერების საშუალებით სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა რომ მოიპოვონ წვდომა ბიბლიოთეკის ყველა ინფორმაციისა და რესურსების შესახებ, როგორც განაცხადა IT დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი კომპიუტერი არ არის საერთო სისტემაში ჩართული, ბიბლიოთეკაში

მხოლოდ ორი კომპიუტერია სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისათვის, რომელიც კარგად არ ფლობს ინგლისურ ენას. სტუდენტები ვერ შეძლებენ საჭირო ინფორმაციის მიღებას ბიბლიოთეკიდან. ბიბლიოთეკაში შეინიშნება დახმარების ნაკლებობა, ბიბლიოთეკის რესურსების შესახებ რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ სტანდარტში 7.0.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუები: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები ; სტუდენტების უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრი; საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის ცენტრი; სამდივნო;საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; ფინანსური სამსახურის უფროსი; უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახური; ენის სასწავლო ცენტრი; სასწავლო პროცესის მართვის უფროსი. ადგილზე ვიზიტი. ყველა დოკუმენტი, რომელიც ვიზიტის განმავლობაში იქნა წარმოდგენილი. თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტამდე წარმოდგენილი დანართები. უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: • უზრუნველყავით ინგლისური ენის სრულყოფილი დონე მთლიანი პერსონალისთვის. • დანერგეთ სწავლის მართვის ნებისმიერი ტიპის სისტემა (როგორებიცაა მაგალითად Moodle). • აბსუ-ში არსებული ყველა კომპიუტერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის და ურთიერთდაკავშირებული, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ბიბლიოთეკის წიგნების ძებნა, შესაძლებელი იყოს იმის გარკვევა, არის თუ არა კონკრეტული წიგნი საცავში და ა.შ. • შეიმუშავეთ მკაფიო გზამკვლევი (სტუდენტების სახელმძღვანელო), რათა სტუდენტებს დაეხმაროთ აბსუ-ს თითოეული სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურის, იერარქიისა და პასუხისმგებლობების გაგებაში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x არ შეესაბამება მოთხოვნებს

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აბსუს სტატუსი სასწავლო უნივერსიტეტია, მაშასადამე, სტუდენტებისათვის კვლევითი და სამეცნიერო სამუშაოები არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაშია ინტეგრირებული.

კვლევის და სწავლების ეფექტური ინტეგრაციისათვის, მომავალში დაგეგმილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გაუმჯობესება, რათა სამაგისტრო სტუდენტების ჩართულობა კვლევისა და ხელოვნების საქმიანობაში მაქსიმალურად გაიზარდოს.

ექსპერტთა ჯგუფს მოახსენეს, რომ აბსუ დააფინანსებს პროფესორთა კვლევებს სფეროს სპეციფიკის თანახმად. უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა განვითარების სტრატეგია გამოყენებით კვლევებში. სტრატეგიული მიზნების თვალსაზრისით, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევაში მონაწილე პერსონალის მიმართ, სამეცნიერო კვლევებისა და ღონისძიებების ორგანიზებას. **უნ ი ვ ე რს ი ტე ტი** მუდმივად განავითარებს და გააძლიერებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის მხარდამჭერ მექანიზმებს.

აბსუში არ არსებობს სადოქტორო პროგრამები. თუმცა, როგორც აკადემიური პერსონალმა აღნიშნა, აბსუს კვლევები გამოყენებით კვლევაზე იქნება ორიენტირებული. რადგან აბსუ არის ახლად დაარსებული უნივერსიტეტი, რომელიც საავტორიზაციო პროცედურას გადის, სასწავლო კადრების შემადგენლობა ბოლომდე არ არის დადგენილი. სავარაუდოდ, პერსონალი იქნება საქართველოდან, თურქეთიდან და ევროპიდან.

კვლევითი და სამეცნიერო სამუშაოები დაგეგმილია შემდეგ შემოთავაზებულ სასწავლო პროგრამებში - არქიტექტურა და სამოქალაქო ინჟინერია. სამაგისტრო ნაშრომი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთადერთი კვლევითი კომპონენტია, რომელიც კურსის ბოლოს სრულდება, მეოთხე სემესტრში და მოიცავს 30 კრედიტს.

ვიზიტის დროს ექსპერტებს არ დაუფიქსირებიათ საფუძვლიანი კვლევითი ტექნიკა.

კვლევითი სამუშაოები დაფინანსდება აბუს ბიუჯეტიდან, შესაძლო გრანტებიდან და გარე წყაროებიდან, როგორც აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში.

აბსუში არსებობს ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვის ტენდენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ექსპერტთა გასაუბრება რექტორთან, დეკანებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეული აკადემიურ პერსონალთან.

დოკუმენტები: დანართი 91: სამეცნიერო კვლევების განვითარების და ინოვაციების სამსახურის წესდება;

დანართი 92 - გამოყენებითი კვლევების განვითარების სტრატეგია;

დანართი 93 - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;

რეკომენდაციები:

- დააწესეთ გამოყენებითი კვლევის ხუთი პრიორიტეტი აბსუ-სთვის.
- განმარტეთ ინტელექტუალური საკუთრების უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში (სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებითაც) და უნივერსიტეტიტან ბიზნესში გადატანა.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აბსუ გეგმავს, შეასრულოს სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობა ცალკეულ ფაკულტეტებზე გამოყენებითი კვლევის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. რეგულარული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეასრულებს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას შესაბამისად.

კვლევის ფინანსური მხარდაჭერა გამოყოფილია სხვადასხვა წყაროდან: უნივერსიტეტის ბიუჯეტი, საგრანტო პროექტებზე სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები. კვლევები ჩატარდება მხოლოდ სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური და სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება.

ასევე, ახალგაზრდა მეცნიერებს შეზღუდულ ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობენ 12-დან 36 თვემდე.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ყოველწლიური აკადემიური და სამეცნიერო - მეთოდური დატვირთვის ნორმები აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტებისათვის პირადი კონტრაქტების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე აღწერილ საქმიანობას.

აბსუ, როგორც საერთაშორისო უნივერსიტეტი, სტუდენტებისთვის გეგმავს ისეთი საგანმანათლებლო და კვლევით პირობების შექმნას, რომელიც მოემსახურება მათი კონკურენტუნარიანობის დამკვიდრებას მსოფლიოში.

განათლების ინტერნაციონალიზაცია აუცილებელია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში წარმატებისათვის. თუმცა, ეს ყველაფერი დაკავშირებულია სათანადო ფინანსური რესურსებთან.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ეს აბზაცი მომავალ დროშია დაწერილი. ყველა წესები მზადდება, მაგრამ ექსპერტებისათვის ძნელია კომენტარის გაკეთება იმაზე, თუ რა მოხდება მომავალში. ეს შეიძლება შეფასდეს განმეორებითი აკრედიტაციის შეფასების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში - გვ. 82-86.
დანართი 94 - უნივერსიტეტის ბიუჯეტი
დანართი 95 - წესით დაფინანსების და საჯარო, გამჭვირვალე, სამართლიანი პროცედურების სამეცნიერო-კვლევითი შიდა გრანტების შესახებ;
დანართი 96 - შეფასების წესი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სტანდარტი.
დანართი 97 - სტრატეგიები ახალგაზრდა პროფესიონალების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში მოსაზიდად და მათი კვლევებში ჩართვა.

რეკომენდაციები:

- ჩვენი გამოცდილებიდან, კვალიფიციური ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვის ერთ-ერთი შესაძლებლობაა, მათ შესთავაზოთ დროებითი საცხოვრებელი (ბინა) აბსუ-ს სიახლოვეს.
- პერსონალის განვითარებისთვის აუცილებელია სათანადო კვლევითი მუშაობა.
- კვლევითი სამუშაო უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

xნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

შეფასების სისტემის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ მთელი სისტემა საჭიროებს შემოწმებას და გამარტივებას.

ტიპიური მაგალითი, რომელიც უნდა იყოს გამარტივებული არის თვითშეფასების ანგარიში გვ.88: "წლიური შეფასების პროცესი, რომელიც განისაზღვრება სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის ამ წესით, უნდა განხორციელდეს მომდევნო წლის არაუგვიანეს 15 მარტისა. აბსუს კვლევებისა და ინოვაციების სამსახური, ფაკულტეტის დეკანთან ერთად კოორდინირებას უწევს სამეცნიერო პერსონალის საქმიანობას; ინფორმაცია შეფასების პროცესის შესახებ წარედგინება შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. სამეცნიერო კადრების საქმიანობის შეფასების საფუძველზე და კადემიური საბჭოს რეკომენდაციების თანახმად, ფაკულტეტის დეკანი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და გენერალურ მდივანთან თანამშრომლობით, რექტორთან წარადგენს მემორანდუმს შინაგანაწესით გათვალისწინებული სამეცნიერო კადრების ინიციატივების შესახებ". რექტორის გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ მთელი პროცედურა ძალიან ხანგრძლივი და შრომატევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. თვითშეფასების ანგარიში გვ. 88.

სხვადასხვა დოკუმენტები ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისათვის.

რეკომენდაციები:

- აბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევის შედეგების ხარისხის შეფასების სისტემა უნდა გამარტივდეს.
- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევის შედეგების წლიური ანგარიში უნდა იყოს საჯაროდ წარდგენილი (ვებ-გვერდზე) და უნდა გამოქვეყნდეს.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არ შეესაბამება მოთხოვნებს

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მატერიალური რესურსების შეფასება მოხდა 2019 წლის 24 იანვარს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიზიტისას. უნივერსიტეტის მიწის ნაკვეთი შეადგენს 6000მ², შენობა სამსართულიანია, რასაც ემატება სარდაფი. აღნიშნულ შენობაში ადრე ბანკი იყო განთავსებული, იგი ბეტონის სტრუქტურითაა აგებული. ვიზუალურად მისი სტრუქტურული მდგომარეობა კარგი ჩანს.

შენობის სამ სართულზე განთავსებულია შვიდი სხვადასხვა ზომის საკლასო ოთახი. დაახლოებით 250 სტუდენტს ერთდროულად შეუძლია დაესწროს ლექციებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს დაახლოებით 400 სტუდენტის ყოლას პირველ ეტაპზე და სასწავლო პროცესის ორ ცვლაში გაყოფას. გარდა ამისა, შენობას გააჩნია სხვა ობიექტები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კაფე (არ გააჩნია სამზარეულო), კომპიუტერული ოთახი და დიდი სალექციო დარბაზი, აგრეთვე მცირე ლაბორატორია სარდაფში. არსებობს ასევე ექიმის პატარა კაბინეტში კაფეტერიის გვერდით. ადმინისტრაცია და მასწავლებელთა ოთახები განთავსებულია ყველა სართულზე. ტუალეტები, ასევე, გამოყოფილია სართულებზე. ხელმისაწვდომი ტუალეტები განთავსებულია მეორე სართულზე.

შენობას აქვს ორი კიბე, ერთი შიდა მთავარი კიბე და მეორე სახანძრო კიბე შენობის გარეთ. ერთი ლიფტი ემსახურება ყველა სართულს.

შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, თუმცა შეინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა დათვალიერების დროს:

- მთავარი შესასვლელი კარი იხსნება შიგნით (და არა გასასვლელის მიმართულებით);
- შესასვლელი პანდუსები არ აკმაყოფილებენ ხელმისაწვდომობის წესებს (ზომა, დაქანება);
- ტუალეტები (თუნდაც ხელმისაწვდომი ტუალეტები მეორე სართულზე) არ აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობის წესებს (ზომები);

- ზოგ ოთახს აქვს მაღალი ბარიერი და შეუძლებელია ინვალიდის ეტლით შესვლა. (საკლასო ოთახები, საპირფარეშოები და ადმინისტრაციის ოფისი);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დეტალური ვიზიტი შენობაში.

რეკომენდაციები:

- აბსუ-ს გაზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სასურველია ალტერნატიული ფინანსური რესურსები.
- რეკომენდებულია დამატებითი ინფრასტრუქტურული ინვესტიციის დეტალური აღწერის დაგეგმვა.

- მთავარ შესასვლელს კარები უნდა ჰქონდეს ორივე მხრიდან და იღებოდეს გარეთ.
- პანდუსები უნდა აკმაყოფილებდეს მისაწვდომობის რეგულაციებს (6%);
- საჭიროა საპირფარეშოების ხელახალი დაგეგმვარება რათა აკმაყოფილებდეს მისაწვდომობის რეგულაციებს;
- საჭიროა ბარიერების მოხსნა შესასვლელიდან, რათა ეტლით მოსიარულეებს ჰქონდეთ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა; მაქსიმუმ 15მმ ბარიერი არის ნებადართული საქართველოს რეგულაციების თანახმად.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ახალ აბსუ-ში ბიბლიოთეკა ჯერ არ არის სათანადოდ აღჭურვილი. მხოლოდ ცოტაოდენიწიგნი იყო წარმოდგენილი თაროებზე. არცერთი მათგანი არ იყო დოკუმენტირებული და/ან დაარქივებული. როგორც განიმარტა აბსუმ შეიძინა წიგნები, მაგრამ მათი ნახვა შეუძლებელია, რადგან საბაჟო სამსახურის გამო მათი ადგილზე მოტანა დაგვიანდა. ექსპერტებმა შემთხვევით შეარჩიეს წიგნები სხვადასხვა სილაბუსებიდან, რომ ზოგიერთი მათგანი ბიბლიოთეკის საძიებო სისტემის მეშვეობით ენახათ. არც ერთი წიგნი არ იყო ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში, ექსპერტებმა მათი პოვნა შეძლეს პირადად.

იმის გათვალისწინებით, არ იყო ბევრი წიგნი, შესაძლებელი იყო უმრავლესობის დათვალიერება და მხოლოდ ერთი წიგნის იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი, რომელიც, წარმოდგენილია ერთ ასლში - მძიმე ყდით - ჩინგ ფ.დ.კ (Ching, F.D.K) არქიტექტურა: Form, Space, and Order –დანარჩენი არის ისეთი წიგნები, რომლებიც მაგალითად არქიტექტურის ბაკალავრიატის პროგრამიდან არის შერჩეული:

Uraz, T.U., Tasarlama Düsünme Biçimlendirme, ITÜ Mimarlik Fakültesi Baski Atölyesi, 1993, Istanbul.

1. Ertürk, Z., Mimari Tasarim Teknikleri, K.Ü. Mühendislik Mimarlik Fakültesi, Trabzon, 1987.
2. Bayazıt, N., (1994) Endüstri Ürünlerinde ve Mimarlıkta Tasarlama MetodlarınaGiriş,Literatür Yayınları.
3. Arcan, F.A:, Evci, F.,(1992) Mimari Tasarıma Yaklaşım, İstanbul, İki K Yayınevi Temel Bilgi Teknolojileri Kullanımı I-II ECDL V5 / İKMEP MÜFREDATINA UYGUN
4. Chudley, R., Greeno, R., 1998, Building Construction Handbook.
5. Watts, A., 2009, Modern Construction Handbook, Springer, New York.

რომელიც ვერ მოიძებნა - იმის გამო, რომ არ იყო ადგილზე ან, უბრალოდ, იმიტომ რომ მათი სისტემაში რეგისტრაცია არ მომხდარა და ანბანის მიხედვით არ იქნა წარმოდგენილი.

ჩვენ ვიზიტის დროს წიგნების ციფრული ასლები ვითხოვეთ. ზოგიერთი ნაჩვენები იყო PDF ფორმატით საქაღალდეში ან ბიბლიოთეკარის კომპიუტერის მთავარ გვერდზე. ეს შეიძლება იყოს პლაგიატის და საავტორო უფლებების წესების დარღვევის მომასწავებელი. აბსუს სჭირდება ამ ციფრული ასლების დაცვა ან / და ძალიან მკაცრი მექანიზმების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს საავტორო უფლებების დაცვას, როდესაც ამ დოკუმენტების გაზიარება მოხდება სტუდენტებს შორის.

ბიბლიოთეკას მხოლოდ 2 კომპიუტერი ჰქონდა სტუდენტებისთვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკის უფროსისთვის. საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში ძიება მხოლოდ მთავარი კომპიუტერიდან იყო შესაძლებელი. დანარჩენი ორი პერსონალური კომპიუტერი არ წარმოადგენდა სისტემის ნაწილს. ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი არ ეპარებეა IT სამსახურის უნარებში, რომ ძალიან მარტივია ყველა კომპიუტერთან დაკავშირება პროქსით და სხვა კომპიუტერების იმავე საძიებო სისტემაში მოქცება. თუმცა ბიბლითეკა ნამდვილად საჭიროებს მეტი კომპიუტერის შეძენას და მათ ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის.

არ აქვს მნიშვნელობა წიგნები საბაჟოზეა თუ აბსუ-ს ბიბლიოთეკაში, ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ ეს ქვე-სტანდართი არ შეესაბამება მოთხოვნებს.

ბიბლითეკის უფროსმა ვერ შეძლო ინგლისურ ენაზე საუბარი და ვერ უპასუხა კითხვების უმეტესობას. IT დეპარტამენტის უფროსი თარჯიმნის ფუნქციას ასრულებდა, ვინაიდან კარგად იცის ინგლისური.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათები ნათლად უნდა განისაზღვროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ვიზიტი აბსუ-ს შენობაში, ვიზიტი ბიბლიოთეკაში, გასაუბრება ბიბლიოთეკის უფროსთან. პერსონალთან ადგილზე დისკუსია.

რეკომენდაციები:

- გამოყავით მეტი ფინანსური რესურსი და უფრო პროფესიონალური გახადეთ საბიბლიოთეკო მომსახურება.
- ბიბლიოთეკის შიგნით შექმენით პატარა საბეჭდი კუთხე.
- შეიძინეთ მეტი კომპიუტერი და გახადეთ ისინი ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.
- შესთავაზეთ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შესთავაზეთ წვდომა საერთაშორისო მონაზემთა ბაზებზე.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არ შეესაბამება მოთხოვნებს

7.3 საინფორმაციო რესურსები

o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.

o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.

o უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას

o უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აბსუ-ს სრულიად აკლია ინფორმაციული ტექნოლოგიები შიდა მართვის სისტემისთვის, სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმნიანობისთვის. თუმცა, უსადენო ინტერნეტი ხელმისაწვდომია. ოპერატორია EDUROAM.

ადგილზე ვიზიტის დროს, კომპიუტერები მხოლოდ ადმინისტრაციის ოფისებში, საგამოცდო ცენტრსა და ბიბლიოთეკის მცირე ლოკაციებზე (2) შევნიშნეთ, რომლებიც არ იყო სტუდენტების სასწავლო პროცესისტვის განკუთვნილი. შესაძლებელია ითქვას, რომ ეს კომპიუტერები არ არის დაკავშირებული საბიბლიოტეკო მონაცემტა ბაზასთან, რამდენადაც ბიბლიოთეკის კომპიუტერები არ იყო დაკავშირებული საჭირო "proxy" სერვერთან. შეუძლებელი იყო კომპიუტერებში შესვლა გამოცდების ცენტრიდან, ადგილზე ვიზიტის დროს იქ სისტემის პრობლემა ჰქონდათ საჭირო ID

და Password ის მიღებასთან დაკავშირებით (სტუდენტის ან ადმინისტრაციის ID და Pass). ეს კომპიუტერები არ არის საკმარისი სტუდენტთა სასწავლო აქტივობების მხარდასაჭერად, რამდენადაც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საგამოცდო ცენტრშია რსებული კომპიუტერები არ უნდა იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი სტუდენტების მიერ, ნებისმიერ დროს, პირადი მოხმარებისთვის და ისინი უნდა გამორთონ ქსელიდან და გაზიარების სისტემიდან. რამდენადაც, სტუდენტები საჭიროებენ სხვა კომპოუიტერებს პირადი კვლევითი საქმიანობისთვის, ბიბლიოთეკაში არსებული ორი კომპიუტერი ამისთვის საკმარისი არ არის. აბსუ-მ უნდა შეიძინოს მეტი კომპიუტერი და უზრუნველყოს მათი შიდა საინფორმაციო სისტემაზე წვდომა. შიდა საინფორმაციო სისტემის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი აქტივობისთვის, როგორებიცაა: წიგნის დაჯავშნა ბიბლიოთეკაში, კომუნიკაცია აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის; კომუნიკაცია სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ/აკადემიურ პერსონალს შორის; სწავლის უკუკავშირი; საგამოცდო/ვადების შესახებ ინფორმაცია; გამოკითხვები და სხვა. საგამოცდო ცენტრის უფროსთან და საგანმანათლებლო პროცესის მართვის უფროსთან გასაუბრების შედეგად, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ როგორ შეატყობინებენ და შეატყობინებენ თუ არა სტუდენტებს მოახლოებულ გამოცდებთან და დედლაინებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ანონიმურ გამოკითხვებს, რომლებიც დაამოწმა IT სამსახურის უფროსმა, როდესაც დაინერგება ახალი სისტემა, გამომდინარე ავრასიის ტრაპიზონის უნივერსიტეტში მისი წარსული გამოცდილებიდან აღნიშნა, რომ გამოკითხვები დაკავშირებული იქნება იმავე სწავლის მართვის სისტემასთან და შესაძლებელი გახდება გამოკითხვის ანონიმურად შევსება. შესაძლებელი იქნება იმის განსაზრვრა, თუ რომელი დეპარტამენტიდან მისცეს ხმა სტუდენტება, თუმცა არ იქნება ცნობილი მათი ინფორმაცია და ვინაობა. თუმცა, ამ ეტაპზე აბსუ-ში ამ სისტემის ნახვა არ არის შესაძლებელი.

აბსუ-ს ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია ინტერნეტში ინგლისურ ენაზე, თუმცა ამ ეტაპზე იქ შეზღუდული ინფორმაციაა

avrasyabatumi.ge/Mission-and-vision

. მისი რეკლამა განთავსებულია თურქულ ვებ-გვერდზეც.

https://www.avrasya.edu.tr/[A]vrasya-batumi-university/avrasya-batumi-university/

თუმცა, იქ ორი სხვადასხვა მისიაა განთავსებული, სადაც წერია:

ა) ავრასია ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა აწარმოოს, გაავრცელოს და ხელი შეუწყოს ცოდნას, განათლება მისცეს საერთაშორისო სტუდენტებს ჩვენს საზოგადოებასა და კაცობრიობაში სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებისთვის. აბსუს სურს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დანერგოს განათლების მაღალი სტანდარტი

ბ) **მისია:**

- საქართველოს უმაღლესი განათლების ინტეგრირების უზრუნველყოფა ერთიან ევროპულ სივრცეში;
- სოციალური და საინჟინრო საგანმანათლებლო საერთაშორისო სტანდარტების პროგრამების განხორციელება;
- სტუდენტების დახმარება, განივითარონ შემოქმედებითი, ინოვაციური და კრიტიკული აზროვნება;
- აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად, მიაწოდოს მათ ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა;
- მოახდინოს მეცნიერების პოპულარიზაცია და სტუდენტები ჩართოს სოციალურ და საინჟინრო სამეცნიერო კვლევებში;
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური წევრები, რომელთაც ექნებათ კარგი სამეცნიერო ხედვა, ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნა, საზოგადოების ლიბერალური ღირებულებები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა საქართველოსა და საერთაშორისო ბაზარზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ვიზიტი აბსუ-ს შენობაში, ვიზიტი ბიბლიოთეკაში. საუბრები შესაბამის პერსონალთან.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- დანერგეთ ეფექტური სამუშაო კომპიუტერული სისტემა შიდა მართვის სისტემისთვისა და სწავლა/სწავლების საქმიანობისთვის, სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის და კვლევითი საქმიანობის სამართავად.
- ხელახლა შექმენით აბსუ-ს ვებ-გვერდი.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ახალი აბსუ იქნება კერძო, მოგებაზე გათვლილი სასწავლო უნივერსიტეტი. დამფუძნებელთან თავდაპირველი გასაუბრებისას მოვისმინეთ, რომ მთლიანი მოგება საბოლოოდ უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესებას მოხმარდება.

აბსუ-ს დაფინანსების მთავარი წყაროები იქნება: სწავლის საფასური, შემოსავალი გრანტებიდან და სხვა წყაროებიდან დაგროვილი თანხები.

ავტორიზაციის შემთხვევაში აბსუში იგეგმება დამატებითი ინვესტიციების განხორციელება. თუმცა, აბსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტში გაწერილი ამოცანების მისაღწევად გამოყოფილი ფინანსური რესურსები, ეკონომიკურად განხორციელებადი იყო.

როგორც უკვე ითქვა, აბსუ-მ გაამრავალფეროვნა ფინანსური რესურსები, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ და ეფექტიან რისკების მართვას. უნივერსიტეტის შემოსავლები აერთიანებს სწავლის საფასურს, სახელმწიფო გრანტს, დამფუძნებლების ფინანსურ რესურსებს, სხვა ფორმით მირებულ ფინანსურ რესურსებს და სხვა ეკონომიკური აქტივობებიდან შემოსულ თანხებს.

2 წლიანი მუშაობის შემდეგ, აბსუ გეგმავს სტუდენტების საერთო საცხოვრებლის (კამპუსის) მშენებლობას და ფინანსების გაზრდას დამატებითი ინვესტიციებისთვის.

უნივერსიტეტში მოქმედებს ისეთი სტრუქტურული ერთეულები, როგორებიცაა საფინანსო სამსახური, აუდიტის სამსახური, შესყიდვების სამსახური, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ რექტორთან და გენერალურ მდივანთან. გენერალური მდივანი კოორდინირებს ადმინისტრაციისა და

პერსონალის ფინანსური, ეკონომიკური და მომსახურების ერთეულებს მიმდინარე ეკონომიკური წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით და ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს. აბსუ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს საკმარის თანხებს სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის. თუმცა, აბსუ-მ უკვე დაამყარა კავშირები პოტეციურ დამსაქმებლებთან და ასევე გეგმავს უზრუნველყოს სოციალური მომსახურებების სია, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივ, ბათუმის საზოგადოებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები გასაუბრებები დამფუძნებელთან, რექტორთან, გენერალურ მდივანთან, აბსუ-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. თვითშეფასების ანგარიში გვ.23
რეკომენდაციები: • სტუდენტები (ისინი იხდიან სწავლის საფასურს)ასევე ჩართულნი უნდა იყვნენ აბსუ-ს ბიუჯეტის განაწილებაში. • აბსუ-მ მეტი მომსახურება უნდა შესთავაზოს საზოგადოებას - ფასიანი (ენების კურსები, ვორქ-შოფები) და უფასო.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან